ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ქეთევან დვალი

# საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებში

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თსუ ასოცირებული პროფესორი,
შოთა ვეშაპიძე

თბილისი 2020

# ანოტაცია


გლობალიზაციის პერიოდში, როდესაც ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდე-ბულება სულ უფრო მეტად იზრდება და ღრმავდება საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ინტეგრაციულ პროცესებს დანარჩენ მსოფლიოსთან. სწორედ ამიტომ, მოცემული ნაშრომი განიხილავს საქართველოს მონაწილეობის  მნიშვნელობას სხვადასხვა საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებში და მღებული დადებითი თუ უარყოფითი შედეგების გაანალიზებას.

ნაშრომის პირველ თავში - განხილულია საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის არსი და აუცილებლობა, ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიული კონცეფციები და სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის ინიცირებასა და რეგულირებაში.

მეორე თავში - საქართველოს მონაწილეობა ისეთ საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებში, როგორიცაა: ინტეგრაციული გაერთიანებები დსთ-ს ქვეყნების მონაწილეობით, პოსტსაბჭოთა სივრცის ინტეგრაციული გაერთიანებები და შავიზღვისპირა ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების ძირითადი მიმართულებები.

მესამე თავში - საქართველოს პარტნიორობა და თანამშრომლობა ევროკავშირის ქვეყნებთან, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელობა და განვითარების სამომავლო პერსპექტივები, შეფასებულია საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების დინამიკა, ხაზგასმულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში. აგრეთვე, განხილულია საქართველო და აზია-წყნარი ოკეანის და მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტებისა და რეგიონების საერთაშორისო ინტეგრაციული გაერთიანებები, და მათი მნიშვნელობა წევრი ქვეყნების და მთლიანად მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით აგრეთვე, გაანალიზებულია საქართველოს ადგილი საერთაშორისო ეკონომიკურ რეიტინგებში და მისი მნიშვნელობა ქვეყნისთვის;

და ბოლოს, ჩატარებულია მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა საქართველოს საგარეო ორიენტირის შესახებ და მიღებული შედეგების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები.

Ketevan Dvali

# Participation of Georgia in the International Integrational Unities

## Annotation

In the period of globalization when the interdepence among countries are growing and international economic relations are deeping, the integrational processes to the world has an essential importance. That's why, the given work discusses the importance of the participation of Georgia in different international integrational unities and analyzing of received positive or negative results.

In the first chapter is discussed the essence and necessity of international economic integration, theoretical concepts of economic integration and the role of the state in the invocation and regulation at the process of international economic integration.

In the second chapter - the participation of Georgia in such integrational unities, as integrational unities of the participation of CIS countries, the unities of integrational unities of post-soviet space, and the basic directions of the BlackSea economic cooperation development.

In the third chapter - the partnership and cooperation with the countries of Georgia-European Union, and the future development perspectives. Is assessing the dynamics of Georgia-European Union trade relationships, is emphasized the role of investments of the countries of European Union in the economy of Georgia and is also discussed the integrational unities of Georgia and Asia-Pacific Ocean and other different regions and continents of the world and their importance in terms of member countries and cultural development of the world. Also is analysed the place of Georgia in international economic ratings and its importance for the country.

And at last, a survey of the population on Georgia's foreign policy was conducted and conclusions were made based on the results obtained.

## შინაარსი


შესავალი ..... 4

*თავიI. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები* ..... 7

1.1. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის არსი და აუცილებლობა ..... 7

1.2. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიული კონცეფციები ..... 11

1.3. სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის ინიცირებასა და რეგულირებაში ..... 14

*თავიII. საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებში* ..... 20

1.1. საქართველო და ინტეგრაციული გაერთიანებები დსთ-ს ქვეყნების მონაწილეობით 20

2.2. საქართველოს მონაწილეობა პოსტსაბჭოთა სივრცის ინტეგრაციულ გაერთიანებებში ..... 29

2.3 საქართველოს შავიზღვისპირა ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების ძირითადი მიმართულებები ..... 35

*თავიIII. საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევები და თანამედროვე გამოწვევები* ..... 39

3.1. საქართვველოს პარტნიორობა და თანამშრომლობა ევროპის ქვეყნებთან ..... 40

3.2. საქართველო და აზია-წყნარი ოკეანის და მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტებისა და რეგიონების საერთაშორისო ინტეგრაციული გაერთიანებები ..... 46

*3.3. საქართველო საერთაშორისო ეკონომიკურ რეიტინგებში* ..... 51

*3.4. მოსახლეობის კვლევა საქართველოს საგარეო ორიენტირთან დაკავშირებით* ..... 56

*დასკვნა* ..... 65

გამოყენებული ლიტერატურა ..... 68

დანართი ..... 72

# *შესავალი*

*თემის აქტუალურობა*

საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, რომელსაც განვითარების დიდი პოტენციალი, მაგრამ მცირე გამოცდილება აქვს, ძალიან მნიშვნელოვანია განვითარებულ ქვეყნებთან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება. საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ცდილობს საკუთარი უნიკალური პროდუქციის, ტრადიციებისა და სხვა ეროვნული ფასეულობების გაზიარებით ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს საერთაშორისო ასპარეზზე. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანაა და მნიშვნელოვანი ურთიერთობები აკავშირებს აღნიშნული კავშირის სხვა ყოფილ წევრებთან, ქვეყანა მუდმივი არჩევნის წინაშე დგას დასავლეთსა და ისტორიული ურთიერთობების მქონე ქვეყნებს შორის. თუმცა, საქართველოს მიმდინარე მდგომარეობა ცხადჰყოფს, რომ ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობის მიუხედავად, ქვეყანას გეზი დასავლეთისკენ აქვს აღებული. საქართველოს ურთიერთობები ევროკავშირთან ეტაპობრივად გაღრმავდა და მრავალი სფერო მოიცვა. საქართველოს ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროკავშირთან თანამშრომლობის კუთხით ასოცირების შეთანხმებაა, რომელიც ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს სფეროებს მოიცავს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ აღნიშნული შეთანხმება მოიცავს საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტს, რაც მომხმარებლური ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი და პერსპექტიული გამოწვევაა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის ბევრად მარტივია შეღწევა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ბაზარზე და მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით აღნიშნულ ქვეყნებთან თანამშრომლობა მეტად ხელსაყრელია, საქართველომ აირჩია საკმაოდ რთული და გრძელი, მაგრამ

ისეთი გზა, რომელიც ქვეყნის იმიჯს, ეკონომიკურ მაჩვენებლებს, მოსახლეობის ცხოვრების დონესა და სხვა მრავალ ინდიკატორს გააუმჯობესებს.

*ნაშრომის მიზნები და ამოცანები*

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საქართველოს მონაწილეობის განხილვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებში. აღნიშნულის განხილვის საფუძველზე ინტეგრაციაში მონაწილეობის დადებითი და უარყოფითი შედეგების განხილვა და საქართველოს დღევანდელი საგარეო ორიენტირის შესწავლა, გაანალიზება და შეფასება.

დასახული მიზნის მისაღწევად კვლევის პროცესში ფორმულირებულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა;
- საქართველოს ურთიერთობების შესწავლა საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებთან დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე;
- საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების განხილვა და საქართველოს ეკონომიკაზე მისი გავლენის ანალიზი;
- საქართველოს წარსული, აწმყო და პოტენციური ურთიერთობების განხილვა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- საქართველო საგარეო ორიენტირის განხილვა და აღნიშნულის თაობაზე მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მოსაზრების კვლევა-გაანალიზება;
- საქართველოს არსებული და მოსალოდნელი სარგებელი და დანაკარგები დასავლეთთან ურთიერთობის გაღრმავების კვალდაკვალ;
- საქართველოს ახლანდელი და მომავალი შესაძლო როლი მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

*კვლევის საგანი და ობიექტი*

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია საქართველოს ურთიერთობები საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებში; კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ორიენტირი საგარეო ურთიერთობებთან დაკავშირებით.

*კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და საინფორმაციო წყაროები:* კვლევის პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა

ნაშრომები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, მსოფლიო ბანკისა და სხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუტების სტატისტიკური მონაცემები, სამეცნიერო ჟურნალები და სტატიები, აღნიშნულ საკითხზე არსებული სხვა ელექტრონული თუ ბეჭდური ლიტერატურა; ასევე, ჩატარებულია მომხმარებელთა ანკეტური გამოკითხვა საქართველოს საგარეო ორიენტირის შესახებ. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი გახდა საქართველოს სხვადასხვა ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანებებში მონაწილეობის ეფექტურობის და  საგარეო ორიენტირის შეფასება.

*კვლევის ძირითადი შედეგები*

საქართველოს საგარეო ორიენტირთან დაკავშირებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ უმაღლესი განათლების მქონე, სრულწლოვანი, 65-წლამდე მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, უპირატესობას ანიჭებს საქართველოს მიერ ურთიერთობების გაღრმავებას დასავლეთთან. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მთავრობისა და მოსახლეობის სურვილები თანხვედრაშია ერთმანეთთან, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ქვეყნის მიერ წარმატების მიღწევის კუთხით. ფაქტია, რომ ქართველი მოსახლეობა ძირითადად, დადებითად აფასებს ევროკავშირის ამჟამინდელ მოღვაწეობას საქართველოში და უკეთესი, ევროპული, თავისუფალი და ღირსეული მომავლის იმედით საქართველოს დასავლეთისკენ ორიენტაციას ემხრობიან.

# *თავი I. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები*

## 1.1. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის არსი და აუცილებლობა

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია არის საერთაშორისო ეკონომიკის ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც მსოფლიოში XX საუკუნის მე-2 ნახევრიდან ვითარდება და რომელის მნიშვნელობაც ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მუდმივად იზრდება.

XX საუკუნის მე-2 ნახევარში, როდესაც დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები და განვითარდა სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებები, დაიწყო საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის გაფართოება. ბუნებრივია, რომ საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის გაფართოებას მოჰყვა საერთაშორისო მოძრაობის ფორმების გაზრდა ისეთ წარმოების ფაქტორებზე, როგორებიცაა: შრომა, მიწა და კაპიტალი. ამრიგად, ეკონომიკური ინტეგრაცია[1] არის კანონზომიერი შედეგი, რომელიც საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის და წარმოების ფაქტორების საერთაშორისო გადაადგილების განვითარებას მოჰყვა.

ლათინური წარმოშობის სიტყვა „ინტეგრაცია“[2] გულისხმობს სხვადასხვა ნაწილების ერთ მთლიანად გაერთიანებას, ხოლო ეკონომიკური თვალსაზრისით, ინტეგრაცია - ეს არის პროცესი, რომელიც გარკვეული სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების საფუძველზე ერთმანეთთან აახლოებს ქვეყნებს, ხოლო აღნიშნულ პროცესს არეგულირებს სხვადასხვა სახელმწიფოთაშორისი ორგანო, იმისათვის, პროცესი იყოს მართლზომიერი და სამართლებრივ ჩარჩოში მოქცეული.

მაშასადამე, სეი არის პროცესი, რომლის ობიექტურ შესაძლებლობას უზრუნველყოფს წარმოების ფაქტორთა ევოლუცია, შრომის საერთაშორისო დანაწილების განვითარება, ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია.

ურთიერთდაკავშირებული ჯაჭვი, რომელსაც მივყავართ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციისკენ შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ (ნახ 1.1.1.):

---

[1] ვიშეგარდის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე (ლექციების კურსი)

[2] სილაგაძე ა., ბახტაძე ლ., ვეშაპიძე შ., ზუბიაშვილი თ., ფუტკარაძე რ., საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია (სალექციო მასალა) თბ.2018




ნახ. 1.1-ზე გამოსახულია ის პროცესები, რომლებსაც მივყავართ საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციამდე.

ერთი მხრივ, საგარეო ეკონომიკური ფაქტორები ამსუბუქებენ ეროვნულ ეკონომიკებს შორის წინააღმდეგობებს, შედეგად შესაძლებელი ხდება შინაგანი და გარეგანი შესაძლებლობების უფრო რაციონალურად შეთავსება როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე მთლიანად მფოფლიო ეკონომიკის სამეურნეო პროგრესისთვის.

მეორე მხრივ, გაძლიერებული გლობალიზაცია ამწვავებს ან ბადებს არსებულ ახალ პრობლემებს და წინააღმდეგობებს, რომლებიც არღვევენ ეროვნული ეკონომიკების ნორმალურ ფუნქციონირებას.

გლობალიზაციის გამოწვევებისაგან ეროვნული ეკონომიკების დაცვის მიზნით არამარტო განვითარებადი, არამედ განვითარებული ქვეყნებიც ინტეგრაციული ბლოკების ჩამოყალიბებასა და მათში მონაწილეობისაკენ ისწრაფვიან. მსოფლიოში აქტიურად მოქმედებს 40-ზე მეტი ინტეგრაციული ბლოკი და მათი რიცხვი იზრდება.

ამგვარად, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი მსხვილი სისტემაწარმომქმნელი ფაქტორებით:

- ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ზრდის ობიექტური პროცესი; ინტერნაციონალიზაციისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების ზრდა;
- მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია და გლობალური კონკურენცია;
- ტნკ[3] - და მისი თანამედროვე ფორმა - საინფორმაციო ტექნოლოგიური რევოლუცია;
- მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესები და ეროვნულ მეურნეობათა გახსნილობის ამაღლება;

[3] ტრანსნაციონალური კორპორაცია-ეკონომიკური პროფილის დიდი საერთაშორისო კომპანიები, რომლებიც კონტროლს უწევენ მსოფლიო მეურნეობის ერთ ან რამდენიმე დარგს. ასეთ კომპანიებს საწარმოები გააჩნია რამდენიმე ქვეყანაში

- სხვადასხვა ქვეყნებისეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთიანობა მათი უსაფრთხოების თვალსაზრისით;
- გეოპოლიტიკური ინტერესები და სხვა.

აქვე, აუცილებელია აღინიშნოს, ის მიზნები და ამოცანები, რომლებსაც მიზნად ისახავენ ინტეგრაციული დაჯგუფებები.

- მასშტაბის ეკონომია, რაც ქვეყნებს საშუალებას მისცემს გაზარდონ ბაზრის მასშტაბები და შეამცირონ დანახარჯები;
- სტაბილური საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების დამყარება, რაც ხელს შეუწყობს ინტეგრირებულ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ისეთ არაეკონომიკურ სფეროებში, როგორებიცაა სოციალურ-კულტურული, პოლიტიკური და სხვა.
- ურთიერთსავაჭრო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
- ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე ზემოქმედება. როდესაც ინტეგრაცია ხდება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, განვითარებული ქვეყნები ცდილობენ შექმნან სრულფასოვანი ბაზრები და დააჩქარონ დანარჩენი ქვეყნების საბაზრო რეფორმები.
- ახალი, პერსპექტიული დარგების მხარდაჭერა. უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრირებული ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია რეგიონული ბაზრის გაფართოება და შესაბამისად ურთიერთობები მესამე ქვეყნებთან, რაც სრულიად გამორიცხავს აღნიშნული ქვეყნების მიმართ დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებას.

ინტეგრაციის მთელი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ინტეგრირებული ქვეყნების მიერ დასახული საერთო მიზნების მიღწევა შეუძლებელია ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე. კოლექტიური მიზნების მისაღწევად,შესაძლებელია ეროვნული სუვერენიტეტის დათმობაც კი გამართლებული ნაბიჯი აღმოჩნდეს. ხაზგასასმელია, რომ გარკვეული მარეგულირებელი კანონებისა და ღონისძიების გატარების გარეშე გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის დანახარჯი-სარგებლის

სამართლიანი გადანაწილება ვერ მოხდება, რაც ეჭვქვეშ დააყენებს ინტეგრაციის ეფექტურობას.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ეკონომიკური ინტეგრაციის უპირატესობები და ნალოვანებები. ეკონომიკური ინტეგრაციის უპირატესობებს მიეკუთვნება შემდეგი:

1. ვაჭრობის განვითარება - წევრ ქვეყნებს აქვთ: ა) ისეთი საქანლისა და მომსახურების ფართო არჩევანი, რომლის მოხმარებაც ინტეგრაციამდე ხელმისაწვდომი არ იყო; ბ) შესაძლებლობა შეიძინონ საქონელი და მომსახურება უფრო დაბალ ფასად, მას შემდეგ,რაც მოიხსნება სავაჭრო ბარიერები და შემცირდება ტარიფები ინტეგრირებულ ქვეყნებს შორის. გ) წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის ზრდის წახალისება, რის საშუალებასაც იძლევა გაიაფებული საქონლისა და მომსახურების შემენაზე დაზოგილი თანხები.
2. კონსესუსის მიღწევის შესაძლებლობა - განსხვავებით დიდი გაერთიანებებისაგან, რეგიონალურ ინტეგრაციაში უფრო მარტივია გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით წევრ ქვეყნებს შორის შეთანხმების მიღწევა.
3. პოლიტიკური თანამშრომლობა - ინტეგრაცია არის მნიშვნელოვანი სტრატეგია იმ კონფლიქტებისა და პოლიტიკური არასტაბილურობის ეფექტების მოსაგვარებლად, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ რეგიონზე. ინტეგრაცია ასევე არის სასარგებლო ინსტრუმენტი გლობალიზაციით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების მოსაგვარებლად.
4. დასაქმების შესაძლებლობები - იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია ხელს უწყობს ვაჭრობის ლიბერალიზაციას და იწვევს ბაზრის გაფართოებას, ქვეყნებში ხდება მეტი ინვესტიცია და ტექნოლოგიური ცვლილებები, რაც ქმნის უფრო მეტ დასაქმების შესაძლებლობას. ადამიანებს საშუალება ეძლევათ გადავიდნენ სამუშაოდ ერთი ქვეყნიდან მეორეში და მიიღონ უფრო მაღალი ანაზღაურება. მაგალითად, რეგიონული თანამშრომლობის ფარგლებში იმ ინდუსტრიებს, რომლებსაც ძირითადად

არაკვალიფიციურ შრომაზე აქვთ მოთხოვნა, წარმოება გადააქვთ დაბალი ხელფასის მქონე ქვეყნებში, რაც მომგებიანია, როგორც ფირმისთვის ასევე, მოსახლეობისათვის.

სარგებლის მიუხედავად, ეკონომიკურ ინტეგრაციას თან ახლავს ნაკლოვანებები, რომლებიც შეიძლება სამ კატეგორიად განიხილოს:

1. სავაჭრო ბლოკების შექმნა - აღნიშნული გულისხმობს, რომ შესაძლებელია გაიზარდოს სავაჭრო ბარიერები არაწევრი ქვეყნების წინააღმდეგ.
2. ვაჭრობის დივერსიულობა - ეს ნიშნავს, რომ სავაჭრო ბარიერების გამო ვაჭრობის გადამისამართება შეიძლება მოხდეს  არაწევრი სახელმწიფოებიდან წევრ სახელმწიფოებზე, თუნდაც ეს ეკონომიკურად საზიანო იყოს წევრი ქვეყნისთვის. მაგალითად, ქვეყანამ უნდა შეაჩეროს ვაჭრობა ისეთ მწარმოებელთან, რომელსაც აქვს საქონელსა და მომსახურებაზე დაბალი ფასი და დაიწყოს ვაჭრობა წევრ ქვეყანასთან, რომელიც უფრო მაღალი ღირებულებით აწარმოებს იმავე პროდუქტს.
3. ეროვნული სუვერენიტეტის დაშლის საფრთხე - ეკონომიკური კავშირის წევრები, როგორც წესი, ვალდებულნი არიან დაემორჩილონ ვაჭრობის წესებს, ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას, რომელიც დაფუძნდა საგარეო პოლიტიკის შემქმნელი ორგანოს მიერ.

ეკონომისტები  და პოლიტიკოსები  თვლიან, რომ ეკონომიკურა ინტეგრაციას წევრი ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, აღნიშნულის ხარისხის გაიზომვა როგორც ქვეყნებში ასევე, რეგიონებში. აღსანიშნავია, ის ეკონომიკური ინდიკატორები, რომლებსაც ეკონომიკური ინტეგრაციის მეთოდოლოგია  მოიცავს, საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის, ტრანსსასაზღვრო კაპიტალის ნაკადების, შრომითი მიგრაციისა და სხვათა ჩათვლით.

## 1.2. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიული კონცეფციები

ეკონომიკური ცხოვრების ნებისმიერი მოვლენა საჭიროებს თეორიულ დონეზე ასახვას და დასაბუთებას. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების

სპეციფიკამ, XX საუკუნის მეორე ნახევარში, გამოიწვია ინტეგრაციული პროცესების შესწავლის, კონცეფციებისა და მიდგომების შემუშავების აუცილებლობა, აგრეთვე, მათი აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის დასაბუთება მდგრადი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ინტეგრაციული განვითერების, თეორიული გააზრებისა და პრაქტიკული საჭიროების დასაბუთების პირველი ცდები განეკუთვნება 1950-1960 წლებს, როცა საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პრობლემებს განიხილავდნენ ისეთი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ჟ. რუეფფი, პ. შუმანი, ვ. ხალიპტეინი, მ. პანიჩი, ე. ბენუა, ჟ. მონე, პ. რობსონი და სხვ.

არსებობს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ტრადიციული თეორია, რომელიც საბაჟო კავშირის ჩარჩოებში მხოლოდ ეკონომიკური შედეგების მიხედვით მსჯელობს; იგულისხმება სავაჭრო ბარიერების ლიკვიდაცია, განსაზღვრული მაკოორდინირებელი რეგლამენტების შემოღება და ა.შ.

ინტეგრაციის ტრადიციულ თეორიაში პირველად გაჟღერდა ცნებები: „სავაჭრო პრინციპების დამუშავება“, „ახალი სასაქონლო ნაკადების შექმნა“, (“trade creation”), „ვაჭრობის დივერსიფიკაცია“ და „სასაქონლო ნაკადების დივერსიფიკაცია“(„trade diversion”). საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ტრადიციული თეორია ამტკიცებს, რომ ინტეგრაციის წევრ სახელმწიფოთა შორის იქმნება ახალი სასაქონლო ნაკადები, რომლებიც განდევნიან მესამე ქვეყნიდან შემოსულ ძვირადღირებულ და ეკონომიკურად ნაკლებად მომგებიან ანალოგიურ საქონელს.

მოცემული თეორიით დასტურდება, რომ ინტეგრაციის ჩარჩოებში ახალი სასაქონლო ნაკადების შექმნით წარმოება იზრდება, სპეციალიზაცია ღრმავდება, ყალიბდება ქვეყანა-მონაწილეების კონკურენტული უპირატესობები და შესაბამისად, მაღლდება მოსახლეობის კეთილდღეობაც.

სეის ტრადიციულ თეორიას აქვს ნაკლიც. კერძოდ, ის ძალიან ზოგადია და ინტეგრაციაში შემავალი ქვეყნების ეკონომიკების განვითარების თავისებურებებს ძალიან ზოგად, სტანდარტულ დონეზე განიხილავს. აგრეთვე, ინტეგრაციული პროცესების განვითარების პრაქტიკაში, ეკონომიკაში ხშირად გვხვდება სიტუაცია, როცა არაინტეგრირებული ქვეყნები ისეთივე ეკონომიკურ მაჩვენებლებს აღწევენ, როგორსაც

ინტეგრირებულნი და ამას ახერხებენ მაგ. სავაჭრო დივერსიფიკაციის, საგარეო სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციის ანალოგიური პრინციპების გამოყენებით და სხვ.

ეკონომიკური ინტეგრაციის სხვა სკოლის წარმომადგენლებმა, კერძოდ, პ.რობსონმა და ლ. კეოჰანემ ამ პროცესს არაეკონომიკური დანიშნულება მისცეს და ინტეგრაციის მადომინირებელი დეტერმინანტის სახით გამოყვეს ინტეგრაცია, როგორც მონაწილე ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის საშუალება, „მსოფლიო ელიტის“ წევრობა, რაც ქვეყნებს საშუალებას აძლევს აიმაღლონ პოლიტიკური პრესტიჟის სტატუსი საერთაშორისო არენაზე.

არსებობს კიდევ ერთი მიდგომა, რომლის მომხრეები თვლიან, რომ ინტეგრაციული სისტემის შექმნისას ქვეყნებმა უნდა დაისახონ საერთო მიზნები და ამოცანები და ერთობლივად შეიმუშავონ მათი მიღწევის გზები. ასეთ მიზნებს მიეკუთვნება მაკროეკონომიკური პოლიტიკისთვის სტანდარტული დასაქმების, წარმოების მოცულობის ზრდის, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის და ა.შ ორიენტირები.

ამ თეორიით ინტეგრაციის ჩარჩოებში საერთო პრობლემის გადასაწყვეტად სახელმწიფოთა როლი მაღლდება, კერძოდ, როცა წევრი ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევით საერთო ბაზარი იქმნება, სახელმწიფოტა მიერ შედარებით ოპტიმალური გადაწყვეტილებები მიიღება და საქონლის წარმოება უფრო ეფექტიანი ხდება.

ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ არსებული შეხედულებებიდან ერთ-ერთი ყურადღებას ამახვილებს, რომ ქვეყნები ინტეგრაციისკენ ისწრაფვიან „შეზღუდულობის ფაქტორის“ დაძლევის მიზნით. მოცემული თეორია ამტკიცებს, რომ ეს „ფაქტორი“ წარმოების მასშტაბებს მნიშვნელოვნად ზრდის, სავაჭრო საქონელს უფრო დიფერენცირებულს ხდის და ახალი ტექნიკის დანერგვას აჩქარებს.

აღნიშნულის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ მიუხედავად სეი-ს პროცესების განვითარების ნახევარ საუკუნეზე დიდი ისტორიისა, მოცემულ საკითხზე ერთიანი, სრულყოფილი და დასაბუთებული თეორია ჯერ არ შექმნილა. მეცნიერ-მკვლევარებს ცალსახად არ გადაუწყვეტიათ, თუ რაში მდგომარეობს კონკრეტული ქვეყნისათვის ის უპირატესობანი, რომელსაც ინტეგრაციულ ჯგუფში შესვლით მიიღებს. თუმცა, აუცილებელია ითქვას, რომ შეიძლება ინტეგრაციას ყველა მონაწილე ქვეყნისთვის ერთნაირი სარგებელი არ მოაქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეჭვგარეშეა ქვეყნებს შორის

საერთაშორისო ინტეგრაციის დადებითი, პროგრესული და ურთიერთსასარგებლო ხასიათი.

## 1.3. სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის ინიცირებასა და რეგულირებაში

ცნებებს „სახელმწიფო“ და „ქვეყანა“ უმეტესწილად ისე იყენებენ, როგორც სინონიმებს, თუმცა მათ შორის განსხვავება მაინც არსებობს. ქვეყნა შეიძლება ვუწოდოთ ისტორიულად განსაზღვრულ, გამოცალკევებულ ტერიტორიას, რომელსაც ჩვეულებრივ გარკვეული სახელმწიფო სუვერენიტეტი გააჩნია. სახელმწიფოს კი უწოდებენ ხელისუფლების აპარატს, რომელიც საზოგადოების საქმეებს მართავს.

მანამ, სანამ უშუალოდ გადავალთ საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციაში სახელმწიფოს როლის განსაზღვრაზე, განვიხილოთ ინტეგრაციის ძირითადი ფორმები და ის ძირითადი წინამძღვრები, რომლებიც უნდა არსებობდეს ინტეგრაციის წარმატებული განვითარებისათვის.

ეტაპები, რომლებსაც ქვეყანა გადის ეკონომიკური ინტეგრაციის დროს შემდეგნაირად გამოიყურება:

1. თავისუფალი ვაჭრობის ზონა - ვაჭრობის ლიბერალიზაცია წევრ ქვეყნებს შორის (ურთიერთვაჭრობაში ყველა შეზღუდვის თანდათანობით, უპირველეს ყოვლისა კი ტარიფების გაუქმება);
2. საბაჟო კავშირი - ადგენს საერთო საგარეო ტარიფებს წევრი ქვეყნებისთვის, რაც ნიშნავს, რომ იგივე ტარიფები გამოიყენება მესამე ქვეყნების მიმართ;
3. ერთიანი ბაზარი - ხდება კაპიტალის და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება წევრ ქვეყნებს შორის, მასშტაბის ეკონომიის და შედარებითი უპირატესობის გაფართოება. ამასთან, თითოეულ ეროვნულ ბაზარს აქვს საკუთარი რეგულაციები, როგორიცაა პროდუქტის სტანდარტები;
4. ეკონომიკური და სავალუტო კავშირი - წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობისას გაუქმებულია ყველა ტარიფი, არსებობს შრომის თავისუფალი გადაადგილება, რაც ადამიანებს საშუალებას აძლევს გადაადგილდნენ და იმუშაონ სხვა წევრ ქვეყანაში. ჰარმონიზებულია წევრ ქვეყნებს შორის

მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, რასაც პოლიტიკური ინტეგრაციის დონემდე მივყავართ. შემდგომი ნაბიჯი კი ეხება მონეტარულ კავშირს, სადაც გამოიყენება საერთო ვალუტა.

5. პოლიტიკური კავშირი - წარმოადგენს ეკონომიკური ინტეგრაციის პოტენციურად ყველაზე მოწინავე ფორმას საერთო მთავრობის გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს წევრი ქვეყნების. სუვერენიტეტს.

დიაგრამა 1.3.1. საერთაშორისო ინტეგრაციის ძირითადი ეტაპები:




მოცემული კლასიფიკაცია და არ ასახავს ეკონომიკური ინტეგრაციის სიღრმეს. სინამდვილეში, უმეტესწილად, ეკონომიკური გაერთიანებები კომბინირებული ფორმით არიან წარმოდგენილნი. დღესდღეობით ქვეყნების მხოლოდ ერთმა საერთაშორისო საინტეგრაციო ჯგუფმა გაიარა რეალურად მითითებულ ეტაპთაგან პირველი ოთხი - ევროპულმა კავშირმა. სხვა საინტეგრაციო დაჯგუფებებმა თავიანთ განვითარებაში ჯერჯერობით პირველი და ნაწილობრივ მეორე და მესამე ეტაპები განვლეს.

იმისათვის, რომ ინტეგრაცია განხორციელდეს წარმატებით და ჰქონდეს დადებითი შედეგები, უნდა არსებობდეს შემდეგი წინამძღვრები:

1. ინტეგრირებული ქვეყნების თანაბარი განვითარების დონეები - მსოფლიო გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ ინტეგრაციული პროცესები უფრო ხშირად გვხვდება თანაბარი ეკონომიკური განვითარების დონის მქონე ქვეყნებს

შორის. იქიდან გამომდინარე, რომ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ინტეგრაციული ტიპის გაერთიანებები ჩამოყალიბების ადრეულ სტადიაზეა, მისი ეფექტიანობის შესახებ ცალსახა დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ამ შემთვევაში, გაერთიანება იწყება ისეთი გარდამავალი შეთანხმების საფუძველზე, რომელთა ვადა გრძელდება მანამ, სანამ ნაკლებად განვითარებული ქვეყანის საბაზრო მდგომარეობა არ დაუახლოვდება განვითარებული დონის ქვეყნისას.

2. გაერთიანების წევრი ქვეყნების ტერიტორიული სიახლოვე, საერთო საზღვრები და ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირები - მსოფლიოს უმეტესი ინტეგრაციული გაერთიანება ჩამოყალიბდა მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის საფუძველზე. აღნიშნულ სახელმწიფოებშო უმეტესწილად მოსახლეობა საუბრობს ერთ ენაზე და აქვთ ერთიანი სატრანსპორტო კომუნიკაციები. ეს ქვეყნები წარმოადგენენ გაერთიანების მთავარ მამოძრავებელ ძალას, რომელსაც შემდეგ სხვა მეზობელი სახელმწიფოები უერთდებიან;
3. ერთი ტიპის პრობლემები ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა კუთხით. ეკონომიკური ინტეგრაციას აკისრია ვალდებულება მოიძიოს იმ პრობლემათა გადაჭრის საუკეთესო გზები, რომელთა წინაშეც ინტეგრირებული ქვეყნები დგანან. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა პრობლემებისა და ინტერესების მქონე ქვეყნები ვერ ინტეგრირდებიან;
4. დემონსტრაციული ეფექტი - იმ დროს, როდესაც ინტეგრაცია დადებით გავლენას ახდენს წევრი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე, არაწევრი ქვეყნები, რომლებიც ყურადღებას ადევნებენ მიმდინარე ცვლილებებს ფსიქოლოგიურ ზეგავლენას განიცდიან, რაც სავსებით შესაძლებელია, რომ აისახოს აღნიშნულ გაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ მათ შემდგომ გადაწყვეტილებაზე.
5. „დომინოს ეფექტი“ - მას შემდეგ, რაც გარკვეულ ქვეყნებს შორის იქმნება ინტეგრაციული დაჯგუფებები, აღნიშნული ქვეყნები ცვლიან სტრატეგიებს მრავალი მიმართულებით, რაც ინტეგრაციის არაწევრ ქვეყნებთან

ეკონომიკური კავშირების შესუსტებას იწვევს და ნეგატიურად აისახება მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შედეგად, არაწევრი ქვეყნები ინტერესდებიან ინტეგრაციაში გაწევრიანებით.

ახლა კი განვიხილოთ სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა ინტეგრაციის წარმატებით განხორციელებაში. ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარება , მათ შორის ეკონომიკურისაც, უაღრესად მჭიდროდაა დამოკიდებული სახელმწიფოსთან. სახელმწიფო და ეკონომიკა მუდმივად ურთიერთქმედებენ.

საყურადღებოა სახელმწიფოს როლის სამი მთავარი ასპექტი:

1. სახელმწიფოს აკისრია მარეგულირებელი როლი, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური ასევე, სოციალური მიმართულებით. ყველა სახელმწიფო მართავს საზღვარს სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებით, რითაც გავლენას ახდენს ეკონომიკური საქმიანობის დონესა და შინაარსზე საკუთაარი საზღვრების შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. მრავალი ტიპის სახელმწიფოთა შორის ძირითადი ორი ჯგუფია: საბაზრო/მარეგულირებელი სახელმწიფოები და გეგმიური/განვითარებადი სახელმწიფოები.
2. სახელმწიფო პოლიტიკა ძირითადად სამ სფეროში (ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მრეწველობა) ტარდება. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ეროვნული სავაჭრო პოლიტიკა GATT/WTO-ს ხანგრძლივვადიანი საერთაშორისო მარეგულირებელი შეთანხმებების ფარგლებში მოქმედებს, რომლის ობიექტივი მრავალმხრივ, არადისკრიმინაციულ სავაჭრო რეჟიმს ემყარება.
3. უმნიშვნელოვანესია რეგიონული ინტეგრაციის საკითხი, რადგან ბოლო პერიოდში გაიზარდა რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების რიცხვი. ბევრი მათგანი საწყის ეტაპზეა და თავისუფალი ვაჭრობის მარტივი შეთანხმებები აქვთ. აღსანიშნავია, რომ რეგიონული ბლოკების ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხი მიღწევადია ეროვნული სახელმწიფოების ლეგიტიმაციით.

თანამედროვე ეკონომიკაში სახელმწიფო ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას:

- ✓ მონაწილეობს ბიზნესში

- ✓ არეგულირებს ეკონომიკურ შესაძლებლობებს სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთისას.

რეგულირებადი ბაზრების არსებობა მიგვანიშნებს პოლიტიკური რეგულირების სუბიექტების არსებობაზე.

გლობალურ ეკონომიკაში სახელმწიფოსა და კერძო მეწარმეობას შორის არსებით ცვლილებებთან დაკავშირებით, საწარმოო კავშირებისა და წარმოების პროცესის რეგუ-ლირება ორ დონეზე მიმდინარეობს: 1. კომპანიის ადმინისტრაციის და 2. სახელმწიფოს მიერ.

XX საუკუნის ბოლოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში სახელმწიფოს როლის შესახებ ორი რადიკალურად განსხვავებული თვალსაზრისი წარმოიშვა. პირველი მიმართულების წარმომადგენელთა (ჯ.ჯერეტი,მ. კორზე-ნევიჩი) აზრით, სახელმწიფო გლობალური ეკონომიკური კონკურენციის პირობებში კარგავს თავის ფუნქციებს, რადგან ტრანსეროვნული კორპორაციების რეგულირებაში პრიმატი კომპანიის ადმინისტრაციას ენიჭება. მეორე თვალსაზრისის მიხედვით, სახე-ლმწიფო ახორციელებს მნიშვნელოვან ზეწოლას გლობალური ეკონომიკის ფუნქციონი-რებაზე, რადგანაც წარმოების ყველა ფრაგმენტი რეგულირდება იმ პოლიტიკური სტრუქტურების მიერ, რომლების დაკავშირებულნი არიან ეროვნულ მთავრობასთან, ზესახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან ან რეგიონულ კავშირებთან. ყველა ეროვნული მთავრობა ერევა ბაზრის ფუნქციონირებაში.

ამრიგად, სეი-ს სისტემაში სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია ორი მიმართულებით უნდა განვითარდეს:

- პირველი, „საზოგადოებრივი საქონლის“ წარმოების უზრუნველყოფას, ეკონომიკის ანტიციკლურ რეგულირებას, ანტიმონოპოლიურ ღონისძიებებს და სოციალური პროგრამების განხორციელებას შიდა მაკროეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით, აღნიშნული ქვეყნის სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. თუ ქვეყანაში არ არის დაცული შიდა მაკროეკონომიკური წონასწორობა, შეუძლებელია იყოს ეკონომიკური სტაბილურობა, მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და სანდოობა

შესაბამისად ვერც ეკონომიკურ ინტეგრაცია იქნება დადებითი შედეგის მომცემი.

- მეორე, საგარეო ეკონომიკური წონასწორობის დაცვის მიზნით სახელმწიფომ უნდა გაატაროს ეროვნული ინტერესების ამსახველი საგარეო სავაჭრო პოლიტიკა: განახორციელოს კაპიტალის და სამუშაო ძალის საერთაშორისო ნაკადების კონტროლი, სავალუტო კურსის ცვლილებაზე ზემოქმედება, საგადასახადო ბალანსის მართვა და ა.შ. ყურადსაღებია საქართველოს ეკონომიკის მომხმარებლური ხასიათი, რომლიდან გამომდინარეც საკმაოდ რთულია საგარეო სავაჭრო პოლიტიკის კონტროლი ისე, რომ გარკვეულ მომხმარებელს არ შეეზღუდოს არჩევანის თავისუფლება. სწორედ ამიტომ, ეროვნული ინტერესების ამსახველი საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებისას მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს ქვეყნის შიდა, რეალური შესაძლებლობები იმ დარგებში, სადაც შეეცდება კონტროლის გამკაცრებას.

# *თავიII. საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებში*

## 2.1 საქართველო და ინტეგრაციული გაერთიანებები დსთ-ს ქვეყნების მონაწილეობით

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა - დსთ (The Commonwealth of independent states, CIS) - ჩამოყალიბდა 1991 წლის 8 დეკემბერს, დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის შექმნის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც ხელი მოაწერეს ყოფილი საბჭოთა კავშირის (რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა) ლიდერებმა ბელორუსში. იმავე წლის 21 დეკემბერს თანამეგობრობას კიდევ შვიდი ქვეყანა შეემატა: აზერბაიჯანის რესპუბლიკა, სომხეთის რესპუბლიკა, ყაზახეთის რესპუბლიკა, ყირგიზეთის რესპუბლიკა, რესპუბლიკა მოლდოვა, ტაჯიკეთის რესპუბლიკა და უზბეკეთის რესპუბლიკა. საქართველო დსთ-ს წევრი გახდა 1993 წლის 9 დეკემბერს. თურქმენეთი 2005 წლის 26 აგვისტოდან დსთ-ს ასოცირებული წევრია, საქართველომ 2009 წელს ოფიციალურად დატოვა ორგანიზაცია, ხოლო უკრაინას, მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს გამოითხოვა თანამშრომლები ორგანიზაციის სტრუქტურებიდან, ჯერაც არ გაუკეთებია ოფიციალური განაცხადი ალიანსიდან გამოსვლის თაობაზე. დსთ-დან გამოსვლის მიუხედევად, საქართველო რჩება დსთ-ის მრავალმხრივი ეკონომიკური შეთანხმებების მონაწილე ვაჭრობის, ტრანსპორტის და ინტელექტუალური დაცვის სფეროებში და სხვა.

შემადგენელი დოკუმენტების საფუძველზე კლასიფიცირდა დსთ-ის ქვეყნების ერთობლივი საქმიანობის შემდეგი სფეროები:

- საგარეო პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაცია;
- ერთიანი ეკონომიკური სივრცის, საერთოევროპული და ევრაზიული ბაზრების შექმნა და განვითარება, საბაჟო პოლიტიკის შემუშავება;
- სატრანსპორტო და საკომუნიკაცია სისტემების შემუშავება;
- გარემოს დაცვა;

- მიგრაციის პოლიტიკა;
- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;

დსთ-ის საწესდებო ორგანოებია:

- ეკონომიკური საბჭო;
- მთავრობის მეთაურთა საბჭო;
- საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო;
- თავდაცვის მინისტრთა საბჭო;
- სასაზღვრო ძალების სარდლების საბჭო;
- საპარლამენტთაშორისო ასამბლეა;
- ეკონომიკური სასამართლო;

დსთ-ის აღმასრულებელი ორგანოებია:

- ეკონომიკური საბჭო;
- თანამეგობრობის სახელმწიფო-მონაწილეთა საწესდებო და სხვა ორგანოების მუდმივი სრულუფლებიანი წარმომადგენლების საბჭო;
- აღმასრულებელი კომიტეტი;

1993 წლის 24 სექტემბერს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ეკონომიკური კავშირის დაფუძნების შესახებ, რომლის თანახმად, საფუძველი ჩაყარა დსთ-ის ქვეყნების მრავალმხრივ თავისუფალი ვაჭრობის ზონის (FTA) შექმნის იდეას. თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა განიხილებოდა, როგორც პირველი ეტაპი ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნისთვის. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა სავაჭრო ბარიერების გაუქმება, ვაჭრობის ზრდის სტიმულირება და წინაპირობების შექმნა მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის რუსეთსა და დსთ-ის სხვა ქვეყნებში. 1994 წლის იანვარში დსთ-ის ქარტია შევიდა ძალაში.

როგორც აღვნიშნეთ, აღნიშნული თანამეგობრობა ხელს უწყობს წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობას ეკონომიკაში, სამხედრო და პოლიტიკურ ასპექტებში. აგრეთვე, აქვს გარკვეული ძალაუფლება ვაჭრობაზე , ფინანსებზე, უსაფრთხოებასა და კანონების შემუშავება-შემოღებაზე. ერები ასევე თანამშრომლობენ ტრანსსასაზღვრო დანაშაულის თავიდან აცილების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ მთელი რეგიონი

მოიცავს 8 მილიონ კვადრატული მილზე მეტ ტერიტორიას, დაახლოებით 240 მილიონი მოსახლით.

დღესდღეობით დსთ-ში 9 ქვეყანაა გაწევრიანებული. მოკლედ დავახასიათოთ ეს ქვეყნები[4]:

- რუსეთის ფედერაცია, მსოფლიოში უდიდესი ტერიტორიის ფართობის მქონე, 2019 წლის მონაცემებით მისი მოსახლეობის რიცხოვნობაა 145.9 მლნ. ქვეყანა დიდარია მინერალური და ენერგეტიკული რესურსით, 2018 წელს მისმა მთლიანმა სამამულო პროდუქტმა შეადგინა- 1 658 მლრდ აშშ დოლარი;
- უზბეკეთი, რუსეთის შემდეგ ლიდერობს მოსახლეობის რიცხოვნობით დსთ-ს ქვეყნებს შორის. 2019 წლის მონაცემებით ქვეყნის მოსახლეობა 33 .5 მლნ. უზბეკეთი სახელგანთქმულია ბამბის, ოქროს, ურანის და ბუნებრივი აირის წარმოებით. ქვეყანაში მოქმედებს ეკონომიკური საქმიანობის მკაცრი რეგულაციები, რომელიც აფერხებს იმპორტს სამამულო წარმოების სასარგებლოდ. 2018 წელს მთლიანმა სამამულო პროდუქტმა 50.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა;
- ყაზახეთი, 2019 წლის მონაცემებზე დაყრდნობით დსთ-ს ქვეყნებს შორის მოსახლეობის რაოდენობით სიდიდით მესამეა და 18.6 მლნ-ს შეადგენს, ხოლო 2018 წლის მონაცემებით მთლიანმა სამამულო პროდუქტმა 170.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა;
- აზერბაიჯანი ენერგორესურსებით მდიდარი ქვეყანაა. 2019 წლის მონაცემებით მოსახლეობის რიცხოვნობაა 10მლნ, ხოლო მთლიანი სამამულო პროდუქტი -47მლრდ;
- ტაჯიკეთის რესპუბლიკა მთიანი, ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოა ცენტრალურ აზიაში. 2019 წელს მისი მოსახლეობა იყო 9.5 მლნ, ხოლო მთლიანი სამამულო პროდუქტი-7.5 მლრდ აშშ დოლარი;
- ბელორუსია, ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპაში. 2019 წლის მონაცემებით მოსახლეობის რიცხოვნობაა 9.4 მლნ, ხოლო მთლიანი სამამულო პროდუქტი- 60 მლრდ აშშ დოლარი;

[4] წყარო: მსოფლიოს მოსახლეობის მიმოხილვა

- ყირგიზეთმა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს მოიპოვა. 2019 წელს მისი მოსახლეობა შეადგენს 6.5 მლნ, ხოლო 2018 წლის მონაცემებით მთლიანი სამამულო პროდუქტია 8.1 მლრდ აშშ დოლარი;
- 2019 წელს მოლდოვას მოსახლეობა იყო 4 მლნ , მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობა კი 11.3 მლრდ აშშ დოლარი;
- 2019 წელს სომხეთის მოსახლეობამ 3 მლნ შეადგინა, ხოლო მთლიანმა სამამულო პროდუქტმა კი 12.4 მლრდ აშშ დოლარი.

გრაფიკი 2.1.1 დსთ-ის წევრი ქვეყნები 2020 წელს[5]:

დსთ-ის წევრი ქვეყნებიდან მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდია რუსეთი-145,934,462 მლნ კაცი, მას მოსდევს უზბეკეთი-33,469,203, ყაზახეთი-18,776,707, აზერბაიჯანი-10,139,177, ტაჯიკეთი-9,537,645, ბელორუსია-9,449,323, ყირგიზეთი-6,524,195, მოლდოვა-4,033,963 და სომხეთი-2,963,243. (იხ. ცხრილი 2.1.1.)

[5] წყარო: დსთ-ის სახელმწიფოთაშორისი სტატისტიკური კომიტეტის ვებ-გვერდი/ http://www.cisstat.com/

დიაგრამა 2.1.1. დსთ-ის ქვეყნები 2020 წლის მოსახლეობის მიხედვით[6]:




ჩამოვაყალიბოთ მთავარი მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ ინტეგრაციულ ტენდენციებს პოსტსაბჭოთა სივრცეში:

- სსრკ-ში ჩამოყალიბებული შრომისა და სპეციალიზაციის დაყოფა. ინტეგრაციული პროცესები სსრკ-ის ეკონომიკაში მკვეთრად შესამჩნევი გახდა 1960-70-იანი წლების მიჯნაზე;
- ტექნოლოგიური ურთიერთდამოკიდებულება, ერთიანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და ენერგეტიკული სისტემა;
- დსთ-ის ქვეყნების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების დაბალი ხარისხი და არაკონკურენტუნარიანობა, რამაც გამოიწვია აღნიშნული ქვეყნების ბაზრების მიმართ მიმზიდველობის ზრდა;
- მჭიდრო კავშირები ქვეყნებს შორის, როგორც სოციალურ და ჰუმანიტარულ ასევე, სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროებში;
- ინტეგრაციული და გლობალიზაციური ტენდენციების გაძლიერება მსოფლიოსა და დსთ-ის საზღვრებზე;

დსთ-ის ქვეყნები დაინტერესებულნი არიან ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებით. უნდა ითქვას, რომ მათ ნამდვილად გააჩნიათ აღნიშნულით დაინტერესების ობიექტური საფუძველი, რაც მდგომარეობს შემდეგში:

1. იქიდან გამომდინარე, რომ დსთ შეიქმნა ყოფილი სსრკ-ის ქვეყნების მიერ, აღნიშნულ კავშირში კი დამახასიათებელი იყო ეკონომიკური კავშირების

[6] წყარო: მსოფლიოს მოსახლეობის მიმოხილვა, ვებ-გვერდი/https://worldpopulationreview.com

ინტენსიურობის მაღალი ხარისხი, წევრი ქვეყნები ხასიათდებიან ეკონომიკა-თა კომპლემენტარულობით;

2. ქვეყნების მდიდარი ერთობლივი ბუნებრივი და ეკონომიკური პოტენციალი; ერთიანი პირობებისა და სტანდარტების არსებობა;
3. გეოგრაფიული სიახლოვე, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, რკინიგზის, ნავთობ და გაზსადენების ერთობლივი ინფრასტრუქტურა. აღნიშნული ერთიანობის დარღვევით შეუძლებელია სახელმწიფოებმა მოახდინონ მათი ეფექტიანად ექსპლუატირება.
4. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და სხვა მრავალი მიზეზი, რომელებიც დსთ-ის ქვეყნებისთვის ეკონომიკურ ინტეგრაციას არამხოლოდ მიმზიდ-ველს, არამედ აუცილებელს ხდიან.

დსთ-ის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებისადმი დაინტერესების მიუხედავად, არსებობს დეზინტეგრაციის მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც იყოფა:

- მიმდინარე კონიუქტურული ფაქტორები;
- სისტემური ფაქტორები;
- სტრუქტურული ფაქტორები;
- ინსტიტუციური ფაქტორები;

**მიმდინარე კონიუქტურულ ფაქტორებში** იგულისხმება წარმოების საყოველთაო დაცემა 1990-იან წლებში, როდესაც პრიორიტეტული ყურადღება ეთმობოდა შიდა მოთხოვნების დაკმაყოფილებას და იღებდნენ იძულებით ადმინისტრაციულ ზომებს საკუთარი ბაზრების დასაცავად;

**სისტემურია ფაქტორები,** რომლებიც ასახავს დსთ-ის ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობათა ადრინდელი სისტემის არსებით თვისებებს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის შემადგენლობაში. აღნიშნული ფაქტორები ინტეგრაციის ძლიერ მასტიმულირებლად გვევლინებოდა; თუმცა, ახალ პირობებში თავისი დეზინტეგრაციული პოტენციალის გამო ართულებდა სამეურნეო კავშირებს.

**სისტემური ფაქტორები**,რომლებიც ართულებდნენ დსთ-ის ქვეყნების ინტეგრაციას არის:

- დსთ-ის წევრების, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა და განვითარების მოთხოვნებთან მეურნეობის ჩამოყალიბებული სტრუქტურე-ბის შეუსაბამობა;
- წარმოების დაბალი ტექნიკური დონე, რაც იწვევდა პროდუქციის არაკონკურენტ-უნარიანობას საზღვარგარეთულ საქონელთან შედარებით;
- ახალ სახელმწიფოთა საჭიროება წარმოების სტრუქტურის გარდაქმნაში;
- სასაქონო ნომენკლატურის ცვლილება და სხვა.

**ინსტიტუციური ფაქტორები**, რომლებშიც იგულისხმება შემდეგი:

- სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განსხვავება;
- ეროვნული სამეურნეო მექანიზმების განსხვავება (ფასწარმოქმნის, ფინანსურ და საბანკო სფეროებში);
- განსხვავება სავალუტო პოლიტიკაში;
- ეკონომიკის პირდაპირი სახელმწიფო მართვის ხარისხში

როგორც ვხედავთ, არსებობს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინტეგრაციის, როგორც მასტიმულირებელი ასევე, შემაკავებელი ფაქტორები, რომლებიც ძლიერ ზემოქმედებენ ინტეგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე და ინტეგრაციის განვითარებაზე. სწორედ ამიტომ, დღემდე არ მიმდინარეობს აღნიშნულ ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის არსებითი ზრდა და ურთიერთქმედების აქტივიზაცია სავალუტო-საფინანსო სფეროში. ეს ყველაფერი კი მიუთითებს დსთ-ის ქვეყნებს შორის არსებული ინტეგრაციის მექანიზმის არასრულყოფილებაზე. აქედან გამომდინარე, საჭიროა ინტეგრაციის მექანიზმის ახალი საფუძვლების ძიება ინტეგრაციული ურთიერთქმედების გასაძლიერებლად აღნიშნულ ქვეყნებს შორის. აღსანიშნავია, რომ წარმატებული ინტეგრაციის მიღწევა შესაძლებელია ერთიანი სამომავლო მიზნების დასახვით ყოფილი სსრკ-ის წევრი და ახლა უკვე დამოუკიდებელი, თუმცა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სახელმწიფოების მიერ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2009 წლის 18 აგვისტოს სააქართველომ ოფიციალურად დატოვა დსთ. აღნიშნულს წინ უძღვოდა რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული დაპირისპირება. დსთ-იდან გამოსვლის შემდეგ წევრ ქვეყნებთან , გარდა რუსეთის ფედერაციისა საქართველომ გააფორმა მრავალმხრივი საერთაშორისო

ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც რეგულირდება „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“[7] დსთ-ის 1994 წლის შეთანხმებით. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი საქართველოს დსთ-ს 8 ქვეყანასთან აქვს. ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, ბელორუსი, ყაზახეთი, უზბეკეთი და თურქმენეთი.

საქართველოს და დსთ-ს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფარგლებში[8]:

1. მხარეები თავისუფლდებიან საბჟო გადასახადებისგან.აგრეთვე იმ გადა-სახადებისა და მოსაკრებლებისაგან, რომლებიც აღნიშნულის ექვივალენტურია;
2. გაუქმებულია რაოდენობრივი შეზღუდვა ვაჭრობის დროს;
3. მხარეები მოწოდებულ არიან ითანამშრომლონ სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში;
4. მხარეებს შორის უნდა განვითარდეს ჯანსაღი კონკურენცია;
5. გაუქმებულია ექსპორტ-იმპორტის სატარიფო კონტროლი;
6. მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ საქონლისა და მომსაურების სტანდარტიზაციისა და სერტიფიცირების საკითხებში;
7. გამარტივებულია შემდეგი ადმინისტრაციული პროცედურები: ა)ლიცენ-ზირება; ბ)რაოდენობრივი შეზღუდვა; გ)სავალუტო კონტროლი; დ)სტატისტიკური აღრიცხვა; ე)დოკუმენტაციის ფამოწმება ვ)საქონლის მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, განვიხილოთ საქართველოს საგარეო ვაჭრობა დსთ-ს ქვეყნებთან თანამეგობრობაში გაწევრიანებიდან (1995წ) დღემდე. იხ. (დიაგრამა 2.1.2. და 2.1.3.)

[7] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1224033?publication=0
[8] საქ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ვებ გვერდი/ http://www.economy.ge/

დიაგრამა 2.1.2 საქართველოს ვაჭრობა (ექსპორტი) დსთ-ს ქვეყნებთან (1995-2019წწ)[9]:




დიაგრამა 2.1.3. საქართველოს ვაჭრობა იმპორტი) დსთ-ს ქვეყნებთან (1995-2019წწ)[10]:




აღნიშნული დიაგრამებიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: საქართველოს დსთ-ში გაწევრიანების დღიდან დღემდე (1995-2019) საკმაოდ სწრაფად გაიზარდა საქართველოს ვაჭრობის მოცულობა დსთ-ს პრაქტიკულად ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით რუსეთთან და აზერბაიჯანთან; მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ

[9] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი/https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti 09.05.2020

[10] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდი/ https://www.geostat.ge/ka/modules/categories/638/importi 09.05.2020

რამდენიმე ქვეყნის გარდა იმპორტის ზრდა გაცილებით აღემატება ექსპორტისას, რაც ნიშნავს უარყოფითი ვაჭრობის სალდოს კიდევ უფრო გადიდებას. რას შეეხება დადებითი ვაჭრობის სალდოს, საქონლის ექსპორტი აღემატება იმპორტს შემდეგი ქვეყნებიდან: ყაზახეთი უზბეკეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი.

ნათელია, რომ საქართველომ უნდა გადადგას ნაბიჯები ექსპორტის სტიმულირების მიმართულებით, იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც უარყოფითი სავაჭრო სალდო აქვს (რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი და ა.შ). მნიშვნელოვანია, რომ ექსპორტის სტიმულირების პოლიტიკა თანხვედრაში იყოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესე-ბასთან, რისთვისაც საჭიროა ფინანსური სისტემის ხარვეზების აღმოფხვრა და გამართული ფუნქციონირება.

## 2.2. საქართველოს მონაწილეობა პოსტსაბჭოთა სივრცის ინტეგრაციულ გაერთიანებებში

პოსტსაბჭოთა სივრცე - ყოფილი სსრკ-ს[11] დამოუკიდებელი ქვეყნები, რომლებმაც დატოვეს საბჭოთა კავშირი 1991 წელს, როდესაც გაერთიანება დაიშალა. პოსტსაბჭოთა ქვეყნები შემდეგ ხუთ ჯგუფად იყოფიან:

- ბალტიისპირეთი: ესტონეთი, ლიტვა ლატვია;
- ცენტრალური აზია: ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი;
- სამხრეთ კავკასია: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი;
- აღმოსავლეთ ევროპა: უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა;
- რუსეთი.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ აღნიშნული ქვეყნების უმრავლესობამ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა, შეინარჩუნეს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთიერთობები, რაც გამოიხატა პოსტსაბჭოთა სივრცეში სხვადასხვა გაერთიანებების ჩამოყალიბებით.ეს გაერთიანებებია:

[11] საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (აერთიანებდა 15 რესპუბლიკას) - 1922წლის 30 დეკემბერს დაარსდა და 1991 წლის 26 დეკემბერს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით დაიშალა;

- დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ)- რომელიც განხილულია წინამდებარე თავში.დაარსდა 1991 წელს და დღესდღეობით 9 ყოფილ საბჭოთა ქვეყანას აერთიანებს;
- ბელორუსიის და რუსეთის სახელმწიფოთა კავშირი;
- ევრაზიული ეკონომიკური კავშირი;
- სუამი;

რუსეთისა და ბელორუსიის კავშირი - რუსეთსა და ბელორუსს შორის ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცების პროცესი სსრკ-ს დაშლის შემდეგ მალევე დაიწყო და რამდენიმე წლის განმავლობაში ვითარდებოდა. 1999 წელს ხელი მოეწერა ერთიან მოკავშირე სახელმწიფოთა შექმნის ხელშეკრულებას, რომელიც 2000 წლის იანვარში შევიდა ძალაში. აღნიშნული გაერთიანების ძირითად მიზანს წარმოადგენდა რუსეთისა და ბელორუსის საერთო სტრატეგიული და მიმდინარე ინტერესების რეალიზაცია, ეკონომიკური ზრდა და ცხოვრების დონის ამაღლება სხვადასხვა ეკონომიკური მექანიზმების ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე.

ევრაზიული ეკოონმიკური კავშირი[12] (Eurasian Economic Community, EAEC) - არის საერთაშორისო ორგანიზაცია რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციისთვის. დაფუძნებულია ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შესახებ 2000 წლის 10 ოქტომბრის ხელშეკრულებით ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში. კავშირი ითვალისწინებს საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და შრომის თავისუფალ გადაადგილებას. ახორციელებს კოორდინირებუულ, ჰარმონიულ და ერთიან პოლიტიკას ხელშეკრულებით გათვალისწინრბულ და კავშირის ფარგლებში საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ სექტორებში. ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრი სახელმწიფოებია: სომხეთის რესპუბლიკა, ბელორუსის რესპუბლიკა, ყაზახეთის რესპუბლიკა, ყირგიზეთის რესპუბლიკა და რუსეთის ფედერაცია. კავშირი შეიქმნა წევრი ქვეყნის ეკონომიკების სრულყოფილად განახლების, კონკურენტუნარიანობის და თანამშრომლობის ამაღლებისა და სტაბილური განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ზოგადი ეკონომიკური ინდიკატორები:

[12] http://www.eaeunion.org/?lang=en#about

- მთლიანი სამამულო პროდუქტი - $1.9 ტრლ აშშ დოლარი  მსოფლიო მთლიანი სამამულო პროდუქტის 3.2%-ს შეადგენს;
- ინდუსტრიული წარმოება - გლიბალური ინდუსტრიული წარმოების 2.2%
- საგარეო ვაჭრობა მე-3 ქვეყნებთან -753.8 მლნ აშშ დოლარი (მსოფლიო ექსპორტის 3%, მსოფლიო იმპორტის 1.7%)

ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მოსახლეობა:

- კავშირში მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს - 183.8 მლნ ადამიანი, აქედან
    - ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა- 94.3 მლნ

ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ენერგეტიკული მრეწველობა:

- ნავთობის წარმოებით პირველი მსოფლიოში -  647.8მლნ ტონა
- გაზის წარმოებით მეორე მსოფლიოში - 781.7 მლნ მ/3
- ელექტროენერგიის წარმოებით მე-4 მსოფლიოში -1 284.8 მლნ კილოვატი/სთ

ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წარმოების ინდუსტრია:

- მსოფლიო ფოლადის მე-5 მწარმოებელი 55.1 მლნ ტონა;
- მსოფლიო მინერალური სასუქების მე-2 მწარმოებელი-15.9 მლნ ტონა;
- მსოფლიო თუჯის მე-3 მწარმოებელი - 55 მლნ ტონა.

ხელშეკრულებით განსაზღვრული ინტეგრაციის ძირითადი ამოცანებია:

- მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა, მათი უფლებებისა და თავისუფლების დაცვა და სოციალური პროგრესის მიღწევა;
- წევრ სახელმწიფოთა მდგრადი ეკონომიკური განვითარება;
- ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა;
- განათლების დონის ზრდა; მეცნიერებისა და კულტურის ხელშეწყობა;
- ტერორიზმთან ბრძოლა;
- ღირსეული ადგილის დამკვიდრება საერთაშორისო არენაზე.

როგორც ვხედავთ, ევრაზიული ეკონომიკური გაერთიანება საკმაოდ წარმატებული გაერთიანებაა, რასაც ადასტურებს ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვანი მაჩვენებლები ეკონომიკის, მრეწველობისა თუ სხვა სფეროებში. თუმცა, მიუხედავად ეკონომიკური აღმავლობისა, კავშირის ფარგლებში არასაკმარისადაა განვითარებული ინოვაციური ინტეგრაცია, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მრავალი სფეროს შემდგომ

განვითარებას. მნიშვნელოვანია, რომ სამეცნიერო-ინოვაციური ცენტრების განვითარება ხორციელდებოდეს არამხოლოდ ეროვნულ დონეზე, არამედ მთლიანი კავშირის ფარგლებში.

მნიშვნელოვანი და დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია საკითხი: საით უნდა მიილტვოდეს საქართველო ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში თუ ევროკაშირში გაწევრიანებისკენ? იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ორი კავშირი არ წარმოადგენენ ურთიერთშემავსებელ გაერთიანებებს ქვეყანას არ შეუძლია იყოს ორივე კავშირის წევრი. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი ემხრობა აზრთა მრავალფეროვნებასა და პოლიტიკულ პლურალიზმს, კავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობა კი იმ ღირებულებების გამავრცელებელია, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აერთიანებთ. რაც შეეხება ევრაზიულ კავშირს, აღნიშნული კავშირი რუსეთისთვის არის სხვა სახელმწიფოებზე ეკონომიკური გავლენისა მათი პოლიტიკური მორჩილების მოპოვების ერთგვარი საშუალება. უნდა ითქვას, რომ რუსეთის ბაზარი ქართული პროდუქციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ნაწილობრივ აღდგა, საქართველომ უპირატესობა მაინც ევროპულ ბაზარს მიანიჭა და უარი თქვა ევრაზიულ კავშირზე. აღსანიშნავია, რომ ევრაზიულ კავშირთან ურთიერთობა ეკონომიკურად უფრო მომგებიანი იქნებოდა მოკლევადიან პერიოდში საქართველოსთვის, თუმცა ამის მიუხედავად რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და საზოგადოებრივმა არჩევანმა საქართველოს უბიძგა ევროკავშირისკენ აეღო გეზი.

სუამი (დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია)- სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1997 წლის 19 ოქტომბერს ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე რესპუბლიკის (საქართველო,უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) მიერ. თურქეთი და ლატვია სუამის დამკვირვებელი ქვეყნებია. 1999 წლიდან 2005 წლის ჩათვლით მასში შედიოდა აგრეთვე უზბეკეთიც და ორგანიზაცია იწოდებოდა, როგორც სუუამი.

სუამის ძირითად მიზნებს წარმოადგენს[13]:

[13] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სუამის წესდება

- დემოკრატიული ღირებულებების, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა;
- ხანგრძლივი, მდგრადი განვითარება;
- უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა როგორც რეგიონულ ასევე, საერთაშორისო დონეზე;
- უსაფრთხოების საერთო სივრცის შექმნა და ეკონომიკური და ჰუმანიტარული თანამშრომლობის გაფართოება;
- სახელმწიფოთა ეკონომიკური, სოციალური, ჰუმანიტარული, სატრან-სპორტო და სხვა მრავალი მიმართულების განვითარება;
- ინტერესის საერთო სფეროებში ურთიერთქმედებისა და თანამშრომლობის გააქტიურება.

სუამის სახელმწიფოთა საერთო ეკონომიკური ინტერესები კონცენტრირებულია კასპიისპირა ენერგომატარებლების ტრანსპორტირების საკითხთა ირგვლივ და ახალი სატრანზიტო მარშრუტების გაყვანით კავკასიის რეგიონზე. გაერთიანების წევრ-ქვეყნებს სურთ რუსეთის ენერგეტიკული ალტერნატივის შექმნა.

2006 წლის ივნისში გაიხსნა ნავთობსადენი ბაქო-თბილის-ჯეიჰანი[14]. ექსპერტთა შეფასებით, ბაქოს ნავთობის მარაგი შეიძლება არ ყოფნოდა ამ პროექტს, ვინაიდან უკვე დღეს ქვეყანა ნავთობის იმპორტირებას ახდენს რუსეთიდან (აზერბაიჯანის ნავთობის საერთო მარაგია 7 მლრდ ტონა). გარანტირებულად რენტაბელური ეს პროექტი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდეს, თუკი მას შეუერთდება ყაზახეთი ტრანსკასპიის ნავთობსადენის მშენებლობით, რადგან ეს უკანასკნელი არაა სუამის წევრი. 2007 წელს იგეგმებოდა ევროპაში გაზის მიწოდება შაჰ-დენიზის აზერბაიჯანული საბადოდან გაზსადენით ბაქო-თბილისი-ერზრუმი.

მნიშვნელოვანია მიზეზები, რამაც უბიძგა წევრ ქვეყნებს აღნიშნული გაერთიანების შექმნისკენ. ვინაიდან სუამში ყოფილი სსრკ-ს წევრები არიან გაერთიანებულნი მათ გააჩნიათ ისტორიული, ეკონომიკური და სოციალური ერთიანობა. გლობალიზაციის პირობებში პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოშობილმა დეზინტეგრაციის ფაქტორებმა კი

[14] მსოფლიოში სიგრძით მეორე (1768 კმ) ნავთობსადენი, რომლის დანიშნულებაა გადაუმუშავებელი ნავთობის ტრანსპორტირება კასპიის ზღვაში აზერბაიჯანის აზერი-ჩირაგ-გუნეშლის ნავთობის საბადოდან ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე. ის გადის ბაქოზე, თბილისსა და მთავრდება ჯეიჰანში, თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირა პორტში.

განაპირობეს აღნიშნული ქვეყნების გააქტიურება თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით. ასევე მნიშვნელვანი მიზეზი სუამის შექმისა გახლავთ დსთ-ს, როგორც ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების გაერთიანების საორგანიზაციო სტრუქტურების გაუმართაობა. როგორც გამოცდილება ცხადყოფს, დსთ მრავალი პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის არ აღმოჩნდა ურთიერთქმედების ეფექტიანი საშუალება, რამაც გამოიწვია აღნიშნული ქვეყნების სხვადასვა გაერთიანებებში დაქსაქსვა. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა აღნიშნული გაერთიანების შექმნაში არის სახელმწიფოთა სწრაფვა ისარგებლონ თავიანთი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით.

სუამის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი 2002 წლიდან მოქმედებს. რაც შეეხება სუამის წევრ ქვეყნებს შორის გაფორმებულ ძირითად ხელშეკრულებას, რომელიც მხარეებს ვაჭრობის ლიბერალიზაციას ითვალისწინებს მდგომარეობს შემდეგში:

- მხარეები თავისუფლდებიან საბაჟო გადასახადებისგან;
- მხარეები თავისუფლდებიან იმ გადასახადებისა და მოსაკრებლებისგან, რომლებიც საბაჟო გადასახადის ეკვივალენტურია;
- მხარეებს არ აქვთ რაოდენობრივი შეზღუდვები საქონელზე;
- არ არსებობს ექსპორტ-იმპორტის სატარიფო შეზღუდვები;
- მხარეები სარგებლობენ გამარტივებული ადმინისტრაციული ფორმალობებით;
- და სხვა.

საბოლოოდ, სუამში საქართველოს წევრობის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო, როგორც განვითარებაზე ორიენტირებული ქვეყანა დიდ ყურადღებას უთმობს ურთიერთთანამშრომლობას ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც თავიანთი არსით ეფუძნებიან ეკონომიკური განვითარებას, ადამიანთა უფლებების დაცვასა და საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია სუამთან რეგიონული სახის  თანამშრომლობის განვითარება. კერძოდ, საქართველო მზადაა ითანამშრომლოს ორგანიზაციის დღის წესრიგით გათვალისწინებული ძირითადი მიმართულებებით. მნიშვნელოვანია, ასევე

თანამშრომლობის გღრმავება სუამის პარტნიორ ქვეყნებთან, იმისათვის, რომ კვლავ შეძლონ აღნიშნულმა ქვეყნებმა ერთმანეთისთვის დაგროვილი გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი, ქვეყნისთვის სასარგებლო და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება.

## 2.3 საქართველოს შავიზღვისპირა ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების ძირითადი მიმართულებები

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია - შეთო (ინგლ. Black Sea Economic Cooperation-BSEC) არის რეგიონალური ეკონომიკური ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1992 წლის 25 ივნისს. დღესდღეობით შეთოს შემადგენლობაში შედის შემდეგი 12 სახელმწიფო: აზერბაიჯანი, ალბანეთი, სომხეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, საქართველო, მოლდავეთი, რუსეთი, რუმინეთი, სერბეთი, თურქეთი, უკრაინა და ჩერნოგორია. შეთოს მიზნებს წარმოადგენს:

- რეგიონის სტაბილურობა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება;
- წევრი სახელმწიფოების მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე ზრუნვა;
- შავი ზღვის ქვეყნებს შორის დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგიონის ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით. მიუხედავად ამისა, მაინც შემუშავდა ურთერთთანამშრომლობის რიგი მიმართულებები, რომლებიც მოიცავს ურთიერთვაჭრობას; საინვესტიციო თანამშრომლობას; კოოპერაციულ ურთიერთქმედებას ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ტურიზმის, ბიზნეს-მომსახურების, ლოჯისტიკის და სხვა სფეროებში.

შეთო-ს, როგორც რეგიონის ქვეყნების გაერთიანებას, გააჩნია დიდი ეკონომიკური პოტენციალი, რომლის განვითარებაც ძალზედ მნიშვნელოვანია წევრი ქვეყნების შემდგომი წარმატებისათვის. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობა გარკვეულ სფეროებში წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საქართველო შეთო-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანაა და შესაბამისად ყველა იმ ძირითადი პროცესის მონაწილეა, რომელიც რეგიონის ფარგლებში ხორციელდება.

საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან. აღნიშნულს ადასტურებს შეთოს წევრ სახელმწიფოებთან არსებული სავაჭრო მაჩვენებლები (იხ. დიაგრამა 2.3.1 და 2.3.2).

დიაგრამა 2.3.1. საქართველოს 2018 წლის საგარეო ვაჭრობა (ექსპორტი) შეთოს ქვეყნებთან[15]:




დიაგრამა 2.3.2. საქართველოს 2018 წლის საგარეო ვაჭრობა (იმპორტი) შეთოს ქვეყნებთან[16]:




როგორც აღნიშნული დიაგრამებიდან ვხედავთ 2018 წელს ქვეყნის მიერ განხორციელებული 3 355 712 მლნ აშშ დოლარის ოდენობის მთლიანი ექსპორტიდან შეთოს ქვეყნებში საქართველოს ექსპორტმა შეადგინა 1 949 529 მლნ აშშ დოლარი. ხოლო

[15] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/https://www.geostat.ge/ka
[16] იქვე;

8 136 458 მლნ აშშ დოლარის იმპორტიდან შეთოს წევრი ქვეყნებიდან შემოტანილმა პროდუქციამ შეადგინა 4 352 667 მლნ აშშ დოლარი.

აღსანიშნავია, რომ დაარსების დღიდან „შეთო“ დიდ ყურადღებას უთმობს ტრანსპორტის სფეროსთან თანამშრომლობას. უცხო არაა რომ საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა ხელს უწყობს ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი რგოლის ადგილის დაკავებაში, რადგან თითქმის ყველა გზა ამ რეგიონში საქართველოზე გადის. საქართველოს ეროვნული ინტერესები კი მდგომარეობს შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში, წევრ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფაში.

საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობის განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა[17]: ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, მცირე და საშუალო მეწარმეობა, მეცნიერება, ტრანსპორტი და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ შავი ღვის რეგიონსა და ევროკავშირს ერთმანეთთან სტრატეგიული ინტერესები აკავშირებენ, რადგან ევროკავშირის მიერ მოხმარებული ნავთობისა და გაზის სამი-მეოთხედი შავი ზღვის რეგიონის გავლით მოძრაობს. საქართველო მხარს უჭერს BSEC-ის წევრი-ქვეყნების ევროკავშირში და ნატოში მიმდინარე ინტეგრაციას.

აუცილებელია ითქვას, ისიც, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის აღნიშნული თანამშრომლობის განვითარებაში. საქართველო, როგორც ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანა არის უამრავი ისეთი პროცესის ინიციატორი, რომლიც განხორციელებამაც გააძლიერა წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა. საქართველომ წვლილი შეიტანა თანამშრომლობის ისეთი დარგების განვითარებაში, რომლებზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წევრი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა. ხაზგასასმელია საქართველოს მნიშვნელობა საგანგებო სიტუაციების დროს ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებაში.

ორიოდ სიტყვით შევეხოთ საქართველოს მოლოდინს შეთო-ს სამომავლო დღის წესრიგთან დაკავშირებით. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების წარმატებული თანამშრომლობისთვის სამომავლოდ აუცილებელია:

[17]წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი - https://mfa.gov.ge/

- უფრო მჭიდრო თანამშრომლობა და ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცება;
- ინტერესების ურთიერთპატივისცემის პრინციპის დანერგვა;
- მნიშვნელოვანი დარგების განვითარება ახალი პროექტების ხელშეწყობით;
- ურთიერთობების გაღრმავება სხვა საერთაშორისო თუ რეგიონალურ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებთან;
- რეგიონის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება;
- და სხვა.

გრძელვადიანი, მდგრადი განვითარების ერთადერთი გარანტი გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის ჯანსაღი ურთიერთდამოკიდებულება და თანამშრომლობაა. მნიშვნელოვანია, რომ აქცენტი გაკეთდეს რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავებაზე, მოხდეს მნიშვნელოვან საკითხებზე ერთობლივი აზრის ჩამოყალიბება და ძირითადი პრობლემების დაძლევის გზების ძიება, რაც საბოლოოდ გამოიწვევს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნაბის კეთილდღეობის გაზრდას ყველა მიმართულებით.[18]

[18] წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი - https://mfa.gov.ge/

## *თავიIII. საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევები და თანამედროვე გამოწვევები*

გლობალიზაციის პერიოდში განვითარების ნებისმიერ დონეზე მყოფი ქვეყნისთვის შეუძლებელი გახდა ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფა სხვა ქვეყნებთან ურთიერთკავშირის გარეშე. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია ძირითად შემთხვევაში აერთიანებს საერთო მისწრაფებების მქონე ქვეყნებს, რომლებსაც სურთ ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირის შედეგად გაიუმჯობესონ საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. დღესდღეობით, არსებობს მრავალი საერთაშორისო ინტეგრაციული გაერთიანება მსოფლიოს ოთხ კონტინენტზე. ეს კონტინენტებია: 1.ევროპა 2.ამერიკა 3.აზია და 4.აფრიკა. საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, რომელიც ისწრაფვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისაკენ, ინტეგრირებულია ისეთი სახის გაერთიანებებში, რომლის წევრობაც ქვეყანას ხელს აძლევს განავითაროს მნიშვნელოვანი დარგები და განახორციელოს ეკონომიკის აღმავლობისთვის საჭირო მნიშვნელოვანი ღონისძიებები. აღსანიშნავია, აგრეთვე, ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლის წევრიც საქართველო ჯერ არ არის, თუმცა მათთან დადებული საერთაშორისო შეთანხმებებით ახერხებს სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა ურთიერთობების დამყარებას, ეს ყოველივე კი ქმნის აღნიშნულ ორგანიზაციებში გაწევრიანების მნიშვნელოვან წინაპირობას. დღესდღეობით საქართველო აქტიურად ცდილობს სამომხმარებლო ბაზრის გაფართოებას და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებას სხვადასხვა ქვეყნებთან, რაც შესაძლოა ქვეყნის მნიშვნელოვან გამოწვევად მივიჩნიოთ. ეს ქვეყნებია: ჩინეთი,ჰონგ კონგი, ევროკავშირის ქვეყნები, თურქეთი, სუამ-ის წევრი ქვეყნები,დსთ-ის ქვეყნები და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია).რიგ აღნიშნულ ქვეყნებთან საქართველოს ინტეგრაცია ჩვენ უკვე განვიხილეთ წინამდებარე თავებში, ახლა კი მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები დღევანდელ რეალობასა და სამომავლო პერსპექტივაში, ასევე უნდა შევეხოთ საქართველოსა და აზია-წყნარი ოკეანის ინტეგრაციულ გაერთიანებებს.

## 3.1. საქართველოს პარტნიორობა და თანამშრომლობა ევროპის ქვეყნებთან

საქართველო-ევროკავშირის ურთერთობები სათავეს იღებს 1992 წლიდან, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა. რასაკვირველია, თავდაპირველი თანამშრომლობა ევროკავშირთან არცთუ ისე ღრმა და მრავლისმომცველი იყო და ძირითადად მათგან ტექნიკურ-ჰუმანიტარული დახმარების მიღებით შემოიფარგლებოდა, თუმცა დროთა განმავლობაში ორივე მხარის დაინტერესების საფუძველზე დაიწყო და ეტაპობრივად განვითარდა თანამშრომლობა მრავალი მიმართულებით. პირველი მნიშვნელოვანი შეთანხმება, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიდო იყო პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA), რომელიც 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში დაიდო , 3 წლის შემდეგ შევიდა ძალაში და 10 წლის ვადით განისაზღვრა. მნიშვნელოვანია, რომ შეთანხმება ითვალისწინებდა 10 წლის გასვლის შემდეგ ვადი ავტომატურად გახანგრძლივებას. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში მხარეები მოწოდებულ იყვნენ ერთობლივი ძალებით ემუშავათ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. შემდეგი მნიშვნელოვანი თარიღი, რომელიც ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობებთან ასოცირდება არის 1997 წლის 2 სექტემბერი, როდესაც საქართველოს პარლამენტის დადგენილების თანახმად 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში მიღებული კანონები და ნორმატიული აქტები ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებთან შესაბამისობაში უნდა იყოს.

აღსანიშნავია, ტექნიკური დახმარების პროგრამა (TACIS) დსთ-ს ქვეყნებისთვის, რომელიც სსრკ-ს დაშლის შემდეგ წამოიწყო ევროკავშირმა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობამ ცალსახად დადებითი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგადოების კეთილდღეობის განვითარების კუთხით. 2007 წელს აღნიშნული პროგრამა ჩაანაცვლა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტმა (ENP). აღნიშნული ინსტრუმენტი შეიქმნა 2004 წელს და წარმოადგენს ევროკავშირის საზღვრების სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე 16

ქვეყანასთანურთიერთობის ძირითად მექანიზმს. სამხრეთით: ალჟირი, ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, ლიბანი, ლიბია, მაროკო, პალესტინა, სირია და ტუნისი, ხოლო აღმოსავლეთით: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, საქართველო, მოლდოვეთი და უკრაინა. რუსეთი მონაწილეობს ENP-ის ქვეშ მოქმედი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის საქმიანობაში, მაგრამ არ არის პარტნიორობის ნაწილი.

<u>აქცენტი სტაბილიზაციაზე</u>

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საფუძველია რეგიონის სტაბილიზაცია, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და უსაფრთხოების საკითხებში. ევროკავშირი ვალდებულია მხარი დაუჭიროს პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას და გააუმჯობესოს ადგილობრივი მოსახლეობის მისწრაფებები, იმედები და პერსპექტივები, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კარგ მმართველობას, დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას. ეს ვალდებულება მოქმედებაში გარდაიქმნება მდგრადი რეგიონალური და ორმხრივი პროგრამების ადგილზე განხორციელების გზით. 2014-2020 წლების პერიოდისთვის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ბიუჯეტი 15.4 მილიარდ ევროს შეადგენს.

<u>მორგებული და მოქნილი პარტნიორობა</u>

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის 2 ძირითადი პრინციპია დიფერენციაცია და საკუთრება. ეს მიდგომა აღიარებს პარტნიორი ქვეყნების სხვადასხვა მისწრაფებებს ევროკავშირთან ურთიერთობების განვითარების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა და მეზობელმა ქვეყნებმა პარტნიორობის პრიორიტეტები ერთად დასახეს, საერთო ინტერესებისა და ურთიერთობების გათვალისწინებით. პოლიტიკა ასევე მოქნილია ფინანსური დახმარების გამოყენების დროს, რაც უფრო ეფექტური რეაგირების საშუალებას იძლევა ისეთ გამოწვევებზე, როგორებიცაა:კონფლიქტი კატასტროფებისგან დაცვა და სხვა. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, როდესაც მსოფლიო კორონავირუსის პანდემიას ებრძვის, ზემოთ აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს და ცხადჰყოფს ნებისმიერი ქვეყნის თუ გაერთიანების მხრიდან სხვადასხვა სახის პოტენციური საშიშროებისგან თავდაცვის პოლიტიკის არსებობის საჭიროებას.

სექტორები

პოლიტიკის ოთხი პრიორიტეტული მიმართულებაა: 1. კარგი მმართველობა, რომელიც მიზნად ისახავს სამართლიანი, ინკლუზიური და სტაბილური საზოგადოების განვითარებას, ადამიანის უფლებების მაქსიმალური პატივისცემით და სამოქალაქო საზოგადოებისთვის სივრცის დაცვით; 2. ეკონომიკური და სოციალური განვითარება, მათ შორის ახალგაზრდებისთვის სამუშაო ადგილების შექმნა; 3.თანამშრომლობა უსაფრთხოების სექტორში, ძირითადად კონფლიქტების პრევენციის, ანტიტერორიზმისა და ანტირადიკალიზაციის პოლიტიკის სფეროებში და 4. ენერგეტიკული უსაფრთხოება და კლიმატური მოქმედებები.

დაფინანსება

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დაფინანსება მოდის ევროკავშირის სამეზობლო ინსტრუმენტისგან (ENI), რომელმაც 2014-2020 წლებში 15 მილიარდ ევროზე მეტი გამოყო. დაფინანსების უმეტესი ნაწილი გამოიყენება ორმხრივი თანამშრომლობისთვის და თითოეული პარტნიორი ქვეყნის საჭიროებებზეა მორგებული.

საქართველო და ENP

სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველო-ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში 2006 წელს მიიღეს, ხელს უწყობს სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ გეგმაში დასახულია ისეთი სამოქმედო პრიორიტეტები, რომლის წარმატებით განხორციელებაც ხელს შეუწყობს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგრადობას. საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის ვადა 2011 წელს ამოიწურა და ავტომატურად გაგრძელდა. 2014 წლის 26 მაისს კი მიიღეს ასოცირების დღის წესრიგი, რომელმაც ჩაანაცვლა სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა.

საქართველო და EAP

საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP), რომელიც მიზნად ისახავს სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსს საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობების გაღრმავებასა და გაძლიერებას. აღნიშნული ინიციატივის მიზანია რეალური სარგებელი მოუტანოს მოქალაქეებს რეგიონის

მასშტაბით და მოახდინოს აღნიშნულის დემონსტრირება 2020 წლისათვის ოთხ პრიორიტეტულ სფეროში:

1. უფრო ძლიერი ეკონომიკა - ეკონომიკური განვითარება და საბაზრო შესაძლებლობები;
2. უფრო ძლიერი მმართველობა - ინსტიტუტების გაძლიერება და სათანადო მმართველობა;
3. უფრო მტკიცე კავშირები - ენერგოეფექტურობა, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება;
4. უფრო ძლიერი საზოგადოება - მობილობა და ხალხთა შორის კონტაქტები;

ასოცირების შეთანხმება საქართველო-ევროკავშირს შორის მოიცავს მრავალ ისეთ სფეროს, რომელზე კომპეტენციასაც ევროკავშირი წევრ სახელმწიფოებთან ინაწილებს. აღნიშნული შეთანხმება საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია და მისი განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) და ქვეყანას ევროკავშირთან დაახლოების კონკრეტულ ეფექტურ მექანიზმებს სთავაზობს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები 2010, ხოლო DCFTA-ს შესახებ 2011 წელს დაიწყო და 2013 წლის მიწურულს დასრულდა. შეთანხმება ითვალისწინებს თანამშრომლობას მრავალი ისეთი მიმართულებით, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ჩამოყალიბებას სამართლიან, თავისუფალ და დემოკრატიულ ევროპულ ქვეყნად.

<u>DCFTA და საქართველო</u>

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა ვაჭრობის შეთანხმებებისგან განსხვავებით DCFTA მოიცავს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. აღნიშნული ხელს შეუწყობს ეროვნული წარმოების საქონლისა და მომსახურების ხარისხისა და კონკურენციის ზრდას. საქართველოს აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში საშუალება ეძლევა მიიღოს ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის გადაადგილება. რაც შეეხება მე-4 თავისუფლებას - ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი. აღსანიშნავია, რომ ქართული წარმოების ყველა

პროდუქტი  გარკვეული ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა ევროკავშირის ბაზარზე.თუმცა, DCFTA არც ისეთი თავისუფალია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს: საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებულ რიგ პროდუქტებზე მოქმედებს „შესვლის ფასი," გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმები და სატარიფო კვოტები. ამ მექანიზმების მიუხედავად, DCFTA-ის უმთავრესი მიზანი სტაბილური და ზრდაზე ორიენტირებული პოლიტიკური ჩარჩოს შექმნაა, რომელიც გააძლიერებს კონკურენციას და ხელს შეუწყობს ახალი სავაჭრო შესაძლებლობების გაჩენას. შექმნილია DCFTA-ს ოფიციალური ვებ-გვერდი, სადაც ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვისაა შესაძლებელი მუდმივად განახლებული ინფორმაციის მიღება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საზოგადოებასთან, რომლებიც ჩართულნი არიან ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი, რომელშიც დიდი წვლილი ევროკავშირთან თანამშრომლობას მიუძღვის საჯარო სტატისტიკური და საერთაშორისო რეიტინგებითაც დასტურდება, რომლებსაც მომდევნო თავებში დეტალურად განვიხილავთ. აშკარა და თვალსაჩინოა საქართველოს მიერ ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში მიღწეული პროგრესი.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ იმპლემენტაციის პროცესი უნდა იყოს თანმიმდევრული და ზომიერი, რათა მკვეთრი და უცებადი ცვლილებების შედეგად ქვეყანაში გარკვეული ჯგუფის მდგომარეობა არ გაუარესდეს და საბოლოოდ საერთო ეკონომიკურ შედეგზე არ აისახოს. აქ იგულისხმება საქონლისა და მომსახურების ხარისხის ევროკავშირის სტანდარტებთან  დაახლოების პროცესი, რაც მოითხოვს საწარმოების მხრიდან დიდ ძალისხმევასა და დანახარჯებს. შესაძლებელია ზოგიერთ საწარმოს მოუწიოს ახალი მანქანა-დანადგარების შეძენა, ან წარმოების ტექნოლოგიის შეცვლა, რაც მძიმედ დააწვება მათ ეკონომიკურ მდგომარეობას და შესაძლებელია მათ მიერ  ბაზრის დატოვებაც კი გამოიწვიოს. შესაბამისად, საჭიროა ზომიერი, ეტაპობრივი და ქვეყნის მდგომარეობის გათვალისწინებით, გააზრებული ნაბიჯების  გადადგმა,

რათა ბიზნესმა შეძლოს სიახლეების გააზრება, დანერგვა, მორგება და შემდგომ უკვე ახალი სტანდარტების მქონე პროდუქციის წარმოება.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ევროკავშირთან საგადასახადო მიმართულებითაც და ცვლილებები შეიტანა საგადასახადო კოდექსში ამ კუთხით ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოების მიზნით.

საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობების შესახებ, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირი ყოველწლიურად დიდი ოდენობის დახმარებას სთავაზობს საქართველოს და ეკონომიკური წინსვლის შედეგად მხარს უჭერს საქართველოს რიგითი მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ის ფაქტი, რომ ევროკავშირმა ქართული წარმოშობის პროდუქციას ბაზარი გაუხსნა, გულისხმობს საქონლის ექსპორტზე გატანის შესაძლებლობების გაზრდას, რაც დადებითად აისახება შესაბამის სექტორში დასაქმებული ადამიანების შემოსავლებზე.

უცნობი არ არის, რომ საქართველოს ეკონომიკის ხერხემალს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ. ევროკავშირი კი მხარს უჭერს მათ განვითარებას ისეთი უმნიშვნელოვანესი ინიციატივებით, როგორებიცაა ტრენინგები და ექსპორტის მხარდაჭერა. 2009 წლიდან დღემდე 63000-ზე მეტმა მცირე და საშუალო ბიზნესმა, მიკრო საწარმოს და ფერმერმა მიიღო სესხი. გარდა ამისა, ჯამში 130 მილიონი ევრო სესხი მიიღება ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესის და მცირე ზომის კომპანიებისთვის, რომლებიც ჰორიზონტ 2020-ით ითვალისწინებენ.

ევროკავშირი მუშაობს საქართველოს მთავრობასთან, რათა შეიქმნას ეფექტური, ხელმისაწვდომი და სამართლიანი სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეების უფლებების დაცვას და მათ გაუადვილებს მათ ცხოვრებასა და ამბიციებს.

ყველა მოქალაქისთვის სამართლიანობისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მათი შემოსავლის მიუხედავად, ევროკავშირმა მხარი დაუჭირა მთავრობის იურიდიული დახმარების სამსახურის შექმნას.

ევროკავშირმა გაწვრთნა 5000-ზე მეტი მოსამართლე, პროკურორი, ციხის და გამოსაცდელი პერსონალი, პოლიციის გამომძიებლები, სახალხო დამცველები და იურისტები, თავიანთი უნარების და ეფექტურობის ასამაღლებლად და ქართველთა უფლებების კიდევ უფრო დასაცავად.

- სამთავრობო მომსახურებებზე წვდომის გასაადვილებლად, ევროკავშირმა მხარი დაუჭირა 44 სამთავრობო თემების ცენტრის შექმნას ქვეყნის მასშტაბით პატარა ქალაქებსა და სოფლებში.
- ევროკავშირი დიდ გრანტებს გასცემს საქართველოზე, სატრანსპორტო კავშირების, ელექტროენერგიისა და წყლის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, მათ შორის აღმოსავლეთ-დასავლეთის გზატკეცილის ჩათვლით; ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება ენგურის კაშხლისა და ელექტროენერგიის სხვა ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია.
- ევროკავშირი ასევე მხარს უჭერს დიდ პროგრამებს გარემოს დაცვისა და მწვანე ეკონომიკის შესახებ.

## 3.2. საქართველო და აზია-წყნარი ოკეანის და მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტებისა და რეგიონების საერთაშორისო ინტეგრაციული გაერთიანებები

აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა (APEC) არის რეგიონალური ეკონომიკური ფორუმი, რომელიც დაარსდა 1989 წელს აზია-წყნარი ოკეანის ინტეგრაციის განვითარების მიზნით. საწყის ეტაპზე იგი აერთიანებდა შემდეგ 12 სახელმწიფოს: ბრუნეი, ავსტრალია, ინდონეზია, იაპონია, სამხრეთ კორეა, მალაიზია, ახალი ზელანდია, ფილიპინები, სინგაპური, ტაილანდი, კანადა და აშშ. ამჟამად, თანამშრომლობა აერთიანებს რეგიონის 21 წევრ ქვეყანას, აღნიშნული ქვეყნების დასახასიათებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ სიტყვა „ეკონომიკა“, რადგან APEC-ის თანამშრომლობის პროცესი ძირითადად ეხება სავაჭრო და ეკონომიკურ საკითხებს, ხოლო წევრები ურთიერთქმედებენ როგორც ეკონომიკური სუბიექტები.

ცხრილი 3.2.1 APEC-ის წევრი ქვეყნები[19]

| APEC-ის წევრები | გაწევრიანების თარიღი |
|---|---|
| ავსტრალია | 6-7 ნოემბ. 1989 |
| ბრუნეი დარუსალამი | 6-7 ნოემბ. 1989 |
| კანადა | 6-7 ნოემბ. 1989 |
| ჩილე | 11-12 ნოემბ. 1994 |
| ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა | 12-14 ნოემბ. 1991 |
| ჰონგ კონგი-ჩინეთი | 12-14 ნოემბ. 1991 |
| ინდონეზია | 6-7 ნოემბ. 1989 |
| იაპონია | 6-7 ნოემბ. 1989 |
| კორეის რესპუბლიკა | 6-7 ნოემბ. 1989 |
| მალაიზია | 6-7 ნოემბ. 1989 |
| მექსიკა | 17-19 ნოემბ. 1993 |
| ახალი ზელანდია | 6-7 ნოემბ. 1989 |
| პაპუა ახალი გვინეა | 17-19 ნოემბ. 1993 |
| პერუ | 14-15 ნოემბ. 1998 |
| ფილიპინები | 6-7 ნოემბ. 1989 |
| რუსეთი | 14-15 ნოემბ. 1998 |
| სინგაპური | 6-7 ნოემბ. 1989 |
| ჩინური ტაიპეი | 12-14 ნოემბ. 1991 |
| ტაილანდი | 6-7 ნოემბ. 1989 |
| შეერთებული შტატები | 6-7 ნოემბ. 1989 |
| ვიეტნამი | 14-15 ნოემბ. 1998 |

APEC-ის 21 წევრი ქვეყნის მიზანია რეგიონის ხალხისთვის უფრო მეტი კეთილდღეობის შექმნა, წონასწორული, ინკლუზიური, მდგრადი, ინოვაციური და უსაფრთხო ზრდის და რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარებით. APEC-ის წევრი ქვეყნების წილი მსოფლიო მშპ-ში შეადგენს 57%-ს, საერთაშორისო ვაჭრობის ბრუნვის 48%-ს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის 40%-ზე მეტს და მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 40%-ს.

APEC უზრუნველყოფს, საზღვრებს შორის, საქონლის, მომსახურების, ინვესტიციებისა და ხალხის მარტივად გადაადგილებას. წევრი ქვეყნები ხელს უწყობენ ვაჭრობას უფრო სწრაფი საბაჟო პროცედურების შემოღების მეშვეობით. მაგალითად, APEC–ის ინიციატივები მარეგულირებელი სისტემების სინქრონიზაციისკენ არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკის ინტეგრაციისთვის.

[19] წყარო: https://www.apec.org/About-Us/About-APEC - APEC-ის ოფიციალური ვებ-გვერდი

ფორუმის ხელმძღვანელ ორგანოებად გვევლინება სახელმწიფოთა მეთაურების და მთავრობების ყოველწლიური არაფორმალური სამიტები და მათთან შეწყობილი საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრების შეხვედრები. წლის განმავლობაში ხორციელდება დარგობრივ მინისტრთა შეხვედრები და APEC -ის უფროსი სამთავრობო პირების ყოველკვარტალური თათბირები.

APEC ფორმალურად საკონსულტაციო სტატუსის მქონე გაერთიანებაა, მაგრამ მასში მოქმედი ორგანოების ახორციელებენ ვაჭრობის, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის წარმოების რეგიონული წესების ჩამოყალიბებას. APEC მოქმედებს, როგორც კოოპერატივი, მრავალმხრივი ეკონომიკური და სავაჭრო ფორუმი. აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობა არის მსოფლიოში ერთადერთი საერთაშორისო მთავრობათაშორისი ჯგუფი, რომელიც მოწოდებულია შეამციროს ინვესტიციებისა და ვაჭრობის ბარიერები ისე, რომ არ მოსთხოვოს წევრ ქვეყნებს ვალდებულებების იურიდიულად შესრულება. APEC აღწევს დასახულ მიზნებს დიალოგის წარმოების გზით და იღებს გადაწყვეტილებებს კონსესუსის საფუძველზე; მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ყველა წევრი ქვეყნის შეხედულებას თანაბარი წონა ენიჭება.

APEC-ში მოქმედებს თავმჯდომარის ინსტიტუტი. ყოველწლიურად, APEC– ის 21 წევრი ქვეყნიდან ერთ – ერთი მონაწილეობს APEC– ის შეხვედრებზე და წარმოდგენილია, როგორც APEC– ის თავმჯდომარე. APEC– ის მასპინძელი ეკონომიკა პასუხისმგებელია ეკონომიკური ლიდერთა ყოველწლიური სხდომის თავმჯდომარეობაზე, არჩეული მინისტრების შეხვედრებზე, თანამდებობის პირთა შეხვედრებზე, APEC–ის ბიზნეს მრჩეველთა საბჭოსა და სასწავლო ცენტრების კონსორციუმზე. 2009 წლამდე, მასპინძელმა ასევე შეითავსა APEC სამდივნოს აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა.

აღსანიშნავია, ასევე, რეგიონის ბიზნეს-გაერთიანება, რომელიც შეიქმნა 1995 წლის ნოემბერში ფორუმის ურთიერთქმედების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. საქმიანი საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის სამეწარმეო სტრუქტურათა სამ-სამი წარმომადგენელი ფორუმის ყოველი წევრისგან, რომლებიც დანიშნულია სახელმწიფოთა მეთაურების მიერ. 1995 წლის ფორუმის ფარგლებში აქტიურად

ფუნქციონირებს APEC-ის ქალი-ლიდერების ქსელი, რომელიც დაკავებულია გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის საკითხებით გაერთიანების საქმიანობის ყველა დარგში და  რეგიონის სოციალურ და სამეურნეო ცხოვრებაში ქალების ჩართულობის გაზრდით.

APEC-ის საქმიმანობის ფუძემდებლური პრინციპებია კონსესუსი და ნებაყოფლობითობა. აღნიშნული პრინციპები აგებულია სხვადასხვა საპროგრამო დოკუმენტზე, რომელთაგან მნიშვნელოვანია 1994 წელს მიღებული ბოგორის დეკლარაცია. ხსენებული დეკლარაცია მიზნად ისახავს რეგიონში თავისუფალი, ღია ვაჭრობისა და საინვესტიციო საქმიანობის ფორმირებას 2010 წლამდე განვითარებული, ხოლო 2020 წლამდე განვითარებადი ეკონომიკები-სათვის.

მნიშვნელოვანია, ასევე, შანხაისა (2001) და ლოს კაბოსის (2002) სამიტები, სადაც გაჟღერდა საერთაშორისო ტერორიზმთან ეკონომიკური და ფინანსური საშუალებებით ბრძოლის იდეა. დიდი ყურადღება ეთმობა ასევე ვაჭრობის, დინანსების, ენერგეტიკის, ჯანდაცვისა და ტრანსპორტის საკითხებს.

2005 წელს APEC-ის სამიტი (პუსანი, კორეის რესპუბლიკა, 18-19 ნოემბერი) გაიმართა ლოზუნგით „ერთიანი თანამეგობრობისკენ _ გამოცდებითა და განახლებით“. პუსანის სამიტის შეთანხმებულ „საგზაო რუკაში“. მოწონებულია არაერთი ახალი ინიციატივა, რომლებიც გამიზნულია რეგიონში მეწარმეობის პირობების შემსუბუქებაზე, კერძოდ, ვაჭრობის ლიბერალიზაციის დარგში ორმხრივი და რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების დადებით, სტიქიური უბედურებების შედეგთა დაძლევაში ურთიერთქმედება, ასევე სახიფათო ინფექციური დაავადებების აფეთქებების (აღნიშნული საკითხის მნიშვნელოვნება, გარდა წარსული გამოცდილებისა, 2020 წლის კორონავირუსის პანდემიის შედეგად გამოწვეული მოვლენებითაც დასტურდება), ენერგომომარაგების უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრა, ბრძოლა კორუფციასთან. გამოიკვეთა კულტურათაშორისი და უფრო ფართოდ ცივილიზაციათაშორისი თანამშრომლობის საკითხი.

ისევე, როგორც სხვა ყველას, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისაც გააჩნია ინტეგრაციული პროცესების თავისებურებები, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

- მნიშვნელოვანია, რომ ინტეგრაციული პროცესები აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკის თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება ტრანსნაციონალური კორპორაციების მნიშვნელოვანი გავლენით, რაც სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის;
- APEC-ში ინტეგრაციული პროცესები ხორციელდება ისეთ ქვეყნებს შორის, რომელთაც გააჩნიათ განსხვავებული ეკონომიკური განვითარების დონე, კულტურა და სოციალურ-პოლიტიკური სისტემა. APEC-ში გაერთიანებულია ეკონომიკურად უძლიერესი ქვეყნები - აშშ და იაპონია. აგრეთვე XXI საუკუნის ეკონომიკური გიგანტი-ჩინეთი. აღსანიშნავია, რომ APEC წარმოადგენს ერთადერთ ინტეგრაციულ გაერთიანებას, სადაც გაწევრიანებულია იაპონია;
- მნიშვნელოვანია, რომ ინტეგრაცია APEC-ში მოიცავს ისეთ ეკონომიკურ კავშირებს, როგორებიცაა: ASEAN და NAFTA. ე.ი უშვებს სხვადასხვა დონის ინტეგრაციას.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ APEC ინტეგრაციული გაერთიანებაა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს თავისი 21 წევრი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების დამყარებასა და გაღრმავებაში. აღნიშნული გაერთიანების განვითარების პერსპექტივები შეიძლება განიხილოს სამ ვარიანტად:

1. შესაძლებელია შეიქმნას თავისუფალი ვაჭრობის ზონა, შემცირდეს საბაჟო ტარიფები და მოხდეს ინვესტიციური სფეროს ლიბერალიზაცია;
2. ყველაზე მოსალოდნელ ვარიანტად განიხილება APEC-სთვის რეგიონში ფორუმის ფუნქციის მინიჭება, რომელიც მიზანმიმართული იქნება სავაჭრო პრობლემების გადასაწყვეტად.
3. ბოლო მოსაზრების თანახმად, შესაძლებელია შეფერხდეს ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ინტერაციული პროცესები აზიურ ქვეყნებს შორის, რის გამომწვევ მიზეზადაც აშშ-სა და ევროკავშირთან პროტექციონისტული განწყობილების შესაძლო განახლება სახელდება.

## *3.3. საქართველო საერთაშორისო ეკონომიკურ რეიტინგებში*

საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, რომელიც ცდილობს ფეხი აუწყოს ევროპულ სტანდარტებს და გახდეს „ევროპული ქვეყანა“, მნიშვნელოვანია საერთაშორისო რეიტინგების გაუმჯობესება. აღნიშნული გაზრდის ქვეყნის ცნობადობას და იმიჯს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მიმართ საერთაშორისო ინსტიტუტების და ინვესტორების ნდობის ზრდას, ეს ყველაფერი კი პოზიტიურად აისახება ბიზნეს-გარემოზე.

2012წლიდან დღემდე საქართველოში მრავალი სისტემური რეფორმა განხორციელდა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მდომარეობა მსოფლიო რეიტინგებში, რაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ყველა მიმართულებით.

დიაგრამა 3.3.1. საქართველოს საერთაშორისო რეიტინგების ცვლილება 1996-2019 წწ.[20]




დიაგრამა 3.3.1-დან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს პოზიციები 1996 წლიდან მოყოლებული დღემდე საერთაშორისო რეიტინგებში იზრდება. დაფიქსირებულია წლების განმავლობაში დიაგრამაზე აღნიშნული ყველა რეიტინგის გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო რეიტინგების მინიჭებასა და ჩამოყალიბებაში, დიდ როლს თამაშობენ საერთაშორისო ინსტიტუტები: მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო

[20] წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - http://www.economy.ge/uploads/

ფონდი, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა, რომელთაგან მიღებული დადებითი შეფასებები დიდ ზეგავლენას ახდენს მომავალში ქვეყნის წარმატებაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2012-2019 წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს მდომარეობა მსოფლიო რეიტინგებში, განვიხილოთ თითოეული მათგანი:

მსოფლიო ბანკი (WB) ბიზნესის კეთება -Doing business პროექტი ითვალისწინებს ბიზნესის რეგულაციების და მათი შესრულების ობიექტურ ზომებს 190 შერჩეულ ეკონომიკაში 10 კრიტერიუმის მიხედვით სუბნაციონალურ და რეგიონულ დონეზე. აღნიშნული კრიტერიუმებით მიღებული ჯამური შეფასება განსაზღვრავს ქვეყნის საერთო რეიტინგს. 2019 წლის ანგარიშზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველომ დიდ წარმატებას მიაღწია და 83.28 სარეიტინგო ქულით მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი დაიკავა.

საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა რეიტინგის ისეთ ინდიკატორებში, როგორებიცაა:

- ბიზნესის დაწყება 5 პოზიციით გაუმჯობესდა და მე-7 ადგილიდან მე-2 ადგილზე გადმოინაცვლა;
- მონორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა 15 პოზიციით გაუმჯობესდა და მე-17 ადგილიდან მე-2 ადგილზე გადმოინაცვლა;
- კონტრაქტების აღსრულება 31 პოზიციით გაუმჯობესდა და 39-ე ადგილიდან მე-8 ადგილზე გადმოინაცვლა;
- გადასახადების გადახდა 29 პოზიციით გაუმჯობესდა და 45-ე ადგილიდან მე-16 ადგილზე გადმოინაცვლა;
- ელ. ენერგიის ქსელთან მიერთება გაუმჯობესდა 49 პოზიციით და 88-ე ადგილიდან 39-ე ადგილზე გადმოინაცვლა;
- ვაჭრობა საზღვრებს მიღმა 5 პოზიციით გაუმჯობესდა და 47-ე ადგილიდან 43-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

დიაგრამა 3.3.2. ინდიკატორები რომელთა მიხედვით „ბიზნესის კეთების“ რეიტინგში საქართველოს მდგომარეობა გაუმჯობესდა[21]:




აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიზნესის კეთების კუთხით საქართველოს მდგომარეობა საერთაშორისო რეიტინგებში სულ უფრო უმჯობესდება. ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება გულისხმობს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინების და ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან სამეწარმეო ინტერესის ზრდას, შედეგად კი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

Fraser institute “მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“ – 2018 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველომ მსოფლიოს 162 ქვეყანას შორის 8.02 ქულით მე-7 ადგილი დაიკავა.

ქვეყნის მდგომარეობა გაუმჯობესდა აღნიშნული რეიტინგის შემდეგ ინდიკატორებში:

- სახელმწიფო ინოვაციები;
- მთავრობის ზომა;
- რეგულაციები.

[21] წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო- http://www.economy.ge/

დიაგრამა 3.3.3. ინდიკატორები რომელთა მიხედვით „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგში საქართველოს მდგომარეობა გაუმჯობესდა[22]:

საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, რომელიც ცდილობს მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდეს „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების“ რეიტინგის გაუმჯობესება დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში აღნიშნავენ, რომ რეიტინგში პოზიციის გაუმჯობესება განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ქვეყნის მშპ-ის ზრდის დადებითი ტემპი ბოლო წლების განმავლობაში, ტრანსფერებისა და სუბსიდიების სწორი და მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკა, მთავრობის მოხმარების წილის შემცირება მთლიან მოხმარებაში, ქვეყანაში განხორციელებული ეფექტური საგადასახადო რეფორმა, ინვესტორებისთვის ხელსაყრელი ბიზნესგარემო და მთავრობის მიერ განხორციელებული სამართლებრივი სისტემური რეფორმები.

Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების იდექსი'' - 2019 წლის კვლევაში მოექცა მსოფლიოს 180 ქვეყანა. საქართველო მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 75.9 ქულით მე-16 პოზიციაზე „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით, ხოლო რეგიონის 44 ქვეყანას შორის მე-8 ადგილზეა.

[22] წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო- http://www.economy.ge/

საერთაშორისო გამჭვირვალობა „კორუფციის აღქმის ინდექსი“ – 2019 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველომ რეიტინგში თავის საუკეთესო შედეგს მიაღწია და 180 ქვეყანას შორის 41-ე ადგილი დაიკავა. აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის 19 ქვეყანას შორის საქართველო კვლავ პირველ პოზიციაზეა.

საქართველოსთვის, როგორც ქვეყნისთვის, რომელიც დამოკიდებულია უცხოურ ინვესტიციებზე, უმნიშვნელოვანესია მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, აღნიშნულის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი კი კორუფციის დაძლევაა. შესაბამისად, „კორუფციის აღქმის ინდექსში“ პოზიციების გაუმჯობესება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) “გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ - მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო 140 ქვეყანას შორის 60.9 ქულით 66-ე ადგილს იკავებს.

მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის (WJP) მიხედვით, საქართველო 41-ე ადგილზეა მსოფლიოს 126 ქვეყანას შორის, მისი სარეიტინგო ქულა 0.61-ს შეადგენს.

ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა (IBP) „ღია ბიუჯეტის ინდექსი“ - საქართველო 102 ქვეყანას შორის მე-5 ადგილზეა.

ევროპის პალატა „ევროპის საუკეთესო ქვეყნები ბიზნესისთვის “ - ევროპის 2019 წლის რეიტინგის მიხედვით, საქართველო ევროპის 46 ქვეყანას შორის 71.0 ქულით მე-16 ადგილზეა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) „ინკლუზიური განვითარების ინდექსი“ - 2018 წლის ანგარიშით საქართველო 74 განვითარებად ქვეყანას შორის 3.99 ქულით 32-ე ადგილზეა.

მსოფლიო ბანკი (WB) „ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი“ - 2018 წელს საქართველომ მსოფლიოს 157 ქვეყანას შორის 0.61 ქულით მე-60 ადგილი დაიკავა.

მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი „ღია მმართველობის ინდექსი“ - 2015 წლის შეფასების საფუძველზე, საქართველო 0.61 ქულით მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის 29-ე ადგილზეა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველ ადგილს იკავებს.

2019 წელს ორგანიზაციამ ჟურნალისტები საზღვრების გარეშე, გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც საქართველომ „მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით 180 ქვეყანას შორის მე-60 ადგილი დაიკავა.

ნებისმიერ საერთაშორისო რეიტინგში პროგრესი ქვეყნისათვის ნდობის გამოცხადების წინაპირობაა. იგი მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს ეკონომიკით უცხოელი ინვესტორების დაინტერესებას და ბიძგს აძლევს მათ ინვესტიციების განსახორციელებლად. მოცემული რეიტინგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო ყოველწლიურად პროგრესირებს მრავალი მმიმართულებით და აქვს დიდი პოტენციალი გახდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

## *3.4. მოსახლეობის კვლევა საქართველოს საგარეო ორიენტირთან დაკავშირებით*

იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ნაშრომი განიხილავს საქართველოს მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნების საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებში, და ვინაიდან ქვეყნისთვის შეუძლებელია ნებისმიერი სახის წარმატების მიღწევა მოსახლეობის მხარდაჭერის გარეშე, ჩატარდა მოსახლეობის კვლევა საქართველოს საგარეო ორიენტირთან დაკავშირებით. კვლევის შედეგად გამოვლენილია ქართველი მოსახლეობის დამოკიდებულება დასავლეთთან საქართველოს საგარეო ურთიერთობების გაღრმავების კუთხით, აღნიშნული დამოკიდებულების მიზეზები და მოლოდინები. გაკეთებულია რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და ამის საფუძველზე შესაბამისი დასკვნები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო არაალბათური წესით შერჩეულმა უმაღლესი განათლების მქონე 18-დან 65 წლამდე ასაკის 300-მა რესპონდენტმა. პირველადი მონაცემების შესაგროვებლად კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა გუგლის კითხვარი, რომელიც 10 კითხვისგან შედგება. კითხვარში გამოყენებულია ლიკერტის ხუთბალიანი შკალა. გამოკითხვა ჩატარდა ინტერნეტისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ქვემოთ მოცემულია რაოდენობრივი კვლევის შედეგები:

ჩატარებული კვლევის ფარგლებში, კვლევის მიზნების მისაღწევად, 1-2 კითხვის საშუალებით დადგინდა, რესპონდენტთა განათლების დონე და ის, თუ მსოფლიოს რომელ რეგიონს ანიჭებენ მომხმარებლები უპირატესობას საგარეო ურთიერთობების გაღრმავების კუთხით.

1. თქვენი განათლების დონე (იმ შემთხვევაში თუ სწავლობთ, მაგრამ ჯერ არ დაგიმთავრებიათ უნივერსიტეტი მიუთითეთ - უმაღლესი)




დიაგრამა №1

წყარო: (კითხვა სტრუქტურირებული კითხვარიდან)

კველვამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა 98% უმაღლესი განათლების მქონეა. აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კვლევის შედეგებზე, ვინაიდან უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს აქვთ მეტი ინფორმაცია, ინტერესი და რესურსი იმისათვის, რომ სწორად შეაფასონ ქვეყანაში არსებული, როგორც წარსული, ასევე მიმდინარე და მომავალი მდგომარეობა.

2. თქვენი აზრით, საქართველომ საგარეო ურთიერთობები უნდა გააღრმავოს




დიაგრამა №2

წყარო: (კითხვა სტრუქტურირებული კითხვარიდან)

კვლევამ აჩვენა, რომ 300 რესპონდენტიდან 201 რესპონდენტი უპირატესობას ანიჭებს დასავლეთთან ურთიერთობების გაღრმავებას, რომელიც შეადგენს გამოკითხულთა 67%-ს. შედეგი სულაც არ არის გასაკვირი, რადგან გამოკითხული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უმაღლესი განათლების მქონეა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ უმეტესობას შეუძლია სწორად შეაფასოს საქართველოს წარსული და ახლანდელი მდგომარეობა, ასევე, ის მიღებული და მოსალოდნელი დადებითი თუ უარყოფითი შედეგები, რაც დასავლეთთან დაახლოებამ მოუტანა საქართველოს.

3. როგორ ფიქრობთ, საქართველო ისტორიულად იყო




დიაგრამა №3

წყარო: (კითხვა სტრუქტურირებული კითხვარიდან)

კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 59%, რომელიც შეადგენს 177 რესპონდენტს, საქართველოს ისტორიულად დასავლური ორიენტირის მქონე ქვეყნის სტატუსს ანიჭებს, ხოლო 40% და 1% შესაბამისად, რუსული და აღმოსავლური ორიენტირის მქონეს. მიღებული შედეგები გამოწვეულია იმით, რომ საქართველო გახლავთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანა, რომელშიც გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილი ცხოვრობდა და რთულია საბჭოთა პერიოდში მცხოვრებ ადამიანისთვის ისტორიული თვალსაზრისით საქართველოსთვის დასავლური ქვეყნის სტატუსის მინიჭება. თუმცა, როგორც ვხედავთ გამოკითხული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კვლავ დასავლეთისკენ იხრება, რაც საქართველოს ევროპული კურსიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად დამაიმედებელი მაჩვენებელია.

4. როგორ ფიქრობთ, საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ




დიაგრამა №4

წყარო ( კითხვა სტრუქტურირებული კითხვარიდან)

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მოსახლეობის 80%-ზე მეტი თვლის, რომ საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაუახლლოვდა დასავლეთს, რაც სიმართლეს შეესაბამება. იქიდან გამომდინარე, რომ 1992 წლიდან იწყება საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და ეტაპობრივად ღრმავდება, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა თვალს ადევნებს,იცის და გარკვეულ დონეზე შეუძლია შეაფასოს საქართველოს საგარეო ურთიერთობები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის.

5. გსმენიათ თუ არა ევროკავშირის საქმიანობის შესახებ საქართველოში?




დიაგრამა №5

წყარო: (კითხვა სტრუქტურირებული კითხვარიდან)

როგორც დიაგრამიდან ჩანს, რესპონდენტთა 73%-მა იცის საქართველოში ევროკავშირის საქმიანობის შესახებ, რაც მნიშვნელოვნად დადებითი მაჩვენებელია, რადგან დასავლურ სამყაროსთან დასაახლოებლად იმდენადაა მოსახლეობის როლი მნიშვნელოვანი, რამდენადაც მთავრობის და უფრო მეტადაც კი. რაც შეეხება დანარჩენ რესპონდენტებს 18% და 9% შესაბამისად ნაწილობრივ და არ არის ინფორმირებული ევროკავშირის საქმიანობაზე საქართველოში.

6. თქვენი აზრით, ვლინდება თუ არა ევროკავშირთან თანამშრომლობის დადებითი შედეგები შემდეგი სახით




დიაგრამა №6

წყარო: (კითხვა სტრუქტურირებული კითხვარიდან)

როგორც აღნიშნული დიაგრამიდან ვხედავთ, გამოკითხული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროკავშირთან ურთიერთობამ გამოიწვია დემოკრატიული ღირებულებების დამყარება, ადამიანთა უფლებების დაცვაზე ზრუნვა და ქვეყნის ცნობადობის ზრდა. რაც შეეხება მოსახლეობის ცხოვრების დონის გაზრდასა და საგარეო საფრთხეების შემცირებას, რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნულ

მაჩვენებლებსაც დადებითად აფასებს, თუმცა ნაწილი მაინც თვლის, რომ აღნიშნული კუთხით საქართველოს დადებითი შედეგი თვალსაჩინო არ არის. აღნიშნული მაჩვენებელი გასაკვირი არ არის, რადგან საქართველოს ის დანაკარგი, რომელიც 2008 წლის დაპირისპირებას მოჰყვა რუსეთთან ჯერ არ მოუშუშებია და შესაბამისად, საგარეო საფრთხეებისგან დაცვის კუთხით მოსახლეობისგან მკვეთრად დადებით პასუხს არც უნდა ველოდოთ; რაც შეეხება მოსახლეობის ცხოვრების დონეს, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან ურთიერთობის შედეგად საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები წინ მიიწევს, საქართველოს მოსახლეობა მაინც რჩება სიღარიბის უდიდესი პრობლემის წინაშე, ამ პრობლემის დაძლევა კი მხოლოდ გრძელვადიან პერიოდშია შესაძლებელი, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა გონივრულ, მიზანმიმართულ და ეტაპობრივ ღონისძიებებს გაატარებს აღნიშნული მიმართულებით.

7. თქვენი აზრით, ვლინდება თუ არა ევროკავშირთან თანამშრომლობის უარყოფითი შედეგები შემდეგი სახით




დანართი №7

წყარო: (კითხვა სტრუქტურიზებული კითხვარიდან)

დიაგრამა N7-ის შედეგებზე დაყდრნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხული რესპონდენტები ევროკავშირთან თანამშრომლობის მკვეთრად უარყოფით შედეგებად

მიიჩნევენ მოსახლეობის მიგრაციის ზრდას და ქართული ტრადიციების ნგრევის საფრთხეს, რაც არ არის საფუძველს მოკლებული. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო-ევროკავშირს შორის მოხდა ვიზა ლიბერალიზაცია, მოსახლეობის კიდევ უფრო დიდ ნაწილს გაუადვილდება ქვეყნის დატოვება და საზღვარგარეთ მიგრაციაში წასვლა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის გადინება არ შეწყდება მანამ, სანამ ქვეყანაში არ შეიქმნება ადეკვატური სამუშაო გარემო, პირობები და ანაზღაურება, რაც საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. აგრეთვე, აღსანიშნავია მიგრანტების როლი საქართველოს ეკონომიკაში, სწორედ, რომ მიგრანტთა ფულადი გზავნილებია საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხს აქვს როგორც უარყოფითი ასევე, დადებითი მხარეები. რაც შეეხება ქართული ტრადიციების ნგრევას, აღნიშნული საფრთხე შესაძლებელია ყველა ქვეყნის წინაშე დადგეს, როდესაც ის სხვა ღირებულებებისა და ტრადიციების მქონე გაერთიანებისკენ მიილტვის, თუმცა ქართული ტრადიციების შენარჩუნება პირდაპირ კავშირშია მომავალი თაობის ეროვნული განათლების დონეზე, აღზრდასა და საკუთარი ქვეყნის ტრადიციების შეცნობაზე. აქვე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ უცხოური ტრადიციების დანერგვა არ გულისხმობს ეროვნულის უგულებელყოფას, როგორც ეს ზოგიერთ ადამიანს ჰგონია. ისეთი ქვეყნის ურთიერთობამ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებთან , სადაც ჯანსღი აზროვნების, განვითარებისკენ სწრაფული და განათლებული ერი ცხოვრობს, შეუძლებელია ზიანი მიაყენოს ეროვნულ ღირსებებსა და ტრადიციებს.

8. სქესი



დიაგრამა №8

წყარო: (კითხვა სტრუქტურირებული კითხვარიდან)

კვლევაში მონაწილე 300 რესპონდენტიდან ქალებისა და მამაკაცების თითქმის თანაბარი რაოდენობა ფიქსირდება.

9. თქვენი ასაკი




დიაგრამა №9

წყარო: (კითხვა სტრუქტურირებული კითხვარიდან)

როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, გამოკითხული მოსახლეობის 50% არის 18-30 წლამდე, 20% - 31-50 წლამდე ხოლო, 30% - 50 წლის ზემოთ. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო, როგორც ახალმა თაობამ ასევე, საბჭოთა სივრცეში მცხოვრებმა ადამიანებმა, რაც კვლევის შედეგებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და დასავლეთთან დაახლოების შემდეგ საქართველოში ძალიან მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იყო, რესპონდენტთა უმრავლესობა მხარს მაინც საქართველოს დასავლეთისკენ სწრაფვას უჭერს.

10. თქვენი საშუალო თვიური შემოსავალი




დიაგრამა №10

წყარო: (კითხვა სტრუქტურირებული კითხვარიდან)

დიაგრამაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევაში მონაწილეობა მიიღო როგორც მცირე და საშუალო, ასევე მაღალშემოსავლიანმა მოსახლეობამ. აღსანიშნავია, რომ რესონდენტთა უდიდესი ნაწილი მიეკუთვნება მცირე და საშუალო შემოსავლიან მოსახლეობას, რომელთათვისაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც შემდგომში მათი ცხოვრების დონეზე აისახება. შესაბამისად, მათი პასუხები დასავლეთის სასარგებლოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ ევროკავშირთან თანამშრომლობის შედეგად ცხოვრების დონის გაუმჯობესების მოლოდინად.

## *დასკვნა*

სამაგისტრო ნაშრომში „საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ინტეგრაციულ გაერთიანებებში“ გამოყენებული ლიტერატურის (წიგნები, პუბლიკაციები, ვებ-გვერდები, ნაშრომები, სტატიები, სტატისტიკური მონაცემები და სხვ.) და საქართველოს საგარეო ორიენტირთან დაკავშირებით მოსახლეობის კვლევის გაანალიზების შედეგად შემუშავებულია შემდეგი დასკვნები:

- ✓ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია არის პროცესი, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა და/ან ერთნაირი განვითარების ქვეყნებს შორის ურთიერთხელსაყრელობის პრინციპიდან გამომდინარე. ვინაიდან და რადგანაც, ყოველი ქვეყანა არის განსხვავებული თავისი ეროვნული ფასეულობებით, ეკონომიკური ზრდის ტემპებით, ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით, სახელმწიფო წყობილებითა და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტორით, შესაბამისად, ეკონომიკურ ინტეგრაციას ყოველ ქვეყანაზე ერთნაირი გავლენა ვერ ექნება. ზოგიერთ შემთხვევაში ეკონომიკური ინტეგრაციის დადებითი შედეგები ერთ ქვეყანაში შესაძლებელია იყოს უფრო მკვეთრი დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით და პირიქით.
- ✓ ეკონომიკური ინტეგრაცია შეიძლება ჩაითვალოს მკვეთრად დადებით მოვლენად სხვადასხვა მსგავსი გაერთიენებების მაგალითის საფუძველზე. მარტივად რომ ვთქვათ, ეკონომიკურად ინტეგრირებული ქვეყნები არიან როგორც ოჯახი, სადაც დიდია ურთიერთდამოკიდებულებიდან მისაღები მოსალოდნელი, როგორც სარგებელი, ასევე განხეთქილების შემთხვევაში მისაღები დანაკარგის რისკი. თუმცა, როგორც იტალიურ ანდაზაშია ნათქვამი „ის, ვინც არ რისკავს, ვერაფერს მოიპოვებს“, აქ, ქვეყნების შემთხვევაში, რასაკვირველია, იგულისხმება წარუმატებელი ინტეგრაციის რისკები. საბოლოოდ, კი, მრავალი ინტეგრაციცული გაერთიანების მაგალითზე დაყრდნობით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამა თუ იმ გაერთიანების წევრი სახელმწიფოები უმეტეს შემთხვევაში იღებენ ისეთ სარგებელს, რომელიც ინტეგრირების გარეშე მათთვის მიუწვდომელი იქნებოდა.

- ✓ ქვეყნებს შორის ინტეგრაციისას უმნიშვნელოვან როლს თამაშობს თითოეული წევრი სახელმწიფო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს როგორც შიდა, ასევე საგარეო ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფა. სახელმწიფოს როლი უპირველეს ყოვლისა გამოიხატება ქვეყნის მხრიდან საკუთარი ეროვნული ინტერესების, გაერთიანების ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანით. მაგ. ხშირად, ქვეყნებს შორის ინტეგრაციის შემდეგ, როდესაც ფართოვდება საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის ბაზარი, ადგილობრივი ბიზნესი წნეხის ქვეშ ექცევა, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მთავრობამ და შესაბამისი ზომები მიიღოს აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად. შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკის მდგრადობის შენარჩუნება, თუკი ადგილობრივი ბიზნესი წარუმატებელი იქნება.
- ✓ საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ცდილობს გახდეს მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების ნაწილი და ურთიერთქმედებს სხვადასხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საქართველოს, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანას, რომელიც აღარ არის დსთ-ს წევრი განსაკუთრებული ურთიერთობები აკავშირებს დსთ-ს ამჟამინდელ წევრ ქვეყნებთან. ამას ადასტურებს სტატისტიკური მაჩვენებლები, რომლებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს დსთ-ში გაწევრიანების დღიდან დღემდე (1995-2019) საკმაოდ სწრაფად გაიზარდა ვაჭრობის მოცულობა გაერთიანების პრაქტიკულად ყველა წევრ ქვეყანასთან, განსაკუთრებით რუსეთთან და აზერბაიჯანთან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს აქვს უარყოფითი ვაჭრობის სალდო გაერთიანების თითქმის ყველა წევრ ქვეყანასთან. აღნიშნულზე დაყრდნობით, ნათელია, რომ საქართველომ უნდა გადადგას ნაბიჯები ექსპორტის სტიმულირების მიმართულებით იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც უარყოფითი სავაჭრო სალდო აქვს. მნიშვნელოვანია, რომ ექსპორტის სტიმულირების პოლიტიკა თანხვედრაში იყოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებასთან, რისთვისაც საჭიროა ფინანსური სისტემის ხარვეზების აღმოფხვრა და გამართული ფუნქციონირება.

- ✓ საქართველო, როგორც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთ-ერთი დამაარსებელი ქვეყანა მონაწილეობას იღებს გაერთიანების ყველა ასპექტში. საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა ხელს უწყობს ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი რგოლის ადგილის დაკავებაში, რადგან თითქმის ყველა გზა ამ რეგიონში საქართველოზე გადის. საქათველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებს აღნიშნული გაერთიანების ქვეყნებთან. ეროვნული ინტერესები კი გადის შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში, წევრ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფაში.
- ✓ გამოკითხული ქართველი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი საქართველოს პოლიტიკის ევროკავშირის პოლიტიკასთან დაახლოებას ემხრობა, რაც გულისხმობს საქართველოს დასავლური გეზის დადებით შეფასებას. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყნეების ინტეგრაციისას უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის განწყობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული გახლავთ ინტეგრაციის წარმატებით ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, კვლევაში მიღებული მაჩვენებლები საკმაოდ დამაიმედებელი და ოპტიმისტურია ქვეყნის მომავალი წინსვლისა და წარმატების თვალსაზრისით.
- ✓ საქართველოს აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი, იმისა რომ მოიპოვოს ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსი. ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობა მხარს უჭერს თანამშრომლობის გაღრმავებას დასავლეთთან, რაც დასავლეთისადმი ნდობასა და პერსპექტიული, უკეთესი მომავლის სურვილში მჟღავნდება. ევროკავშირის წევრობა საქართველოს შანსს მისცემს გაზარდოს ვაჭრობის არეალი და გააუმჯობესოს ეკონომიკური მაჩვენებლები. ასოცირების შეთანხმებისა და DCFTA-ს გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ საქართველო ზედმიწევნით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, რაც, რასაკვირველია, დადებითად აისახება ევროკავშირთან შემდგომ თანამშრომლობაზე.

- ✓ საერთაშორისო რეიტინგებში მოწინავე პოზიციების დაკავება ქვეყნისთვის იმიჯის ზრდისა და ნდობის გამოცხადების წინაპირობაა. იზრდება უცხოელი ინვესტორების დაინტერესება ქვეყნისადმი, რაც განვითარებადი, მომხმარებლური ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის არსებითად მნიშვნელოვანია. თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო ეკონომიკურ რეიტინგებს, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების კვალდაკვალ აქვს დიდი პოტენციალი გახდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

## *გამოყენებული ლიტერატურა*

კვლევის ეფექტურობა უმეტესწილად დამოკიდებულია ლიტერატურის მოძიებასა და მის გამოყენებაზე. ნაშრომში გამოყენებულია ძირითადად წიგნები, სხვადასხვა ნაშრომები, სტატიები, პუბლიკაციები, ვებ-გვერდები და სოციალური მედია საშუალებები.


1. აბესაძე, ო. (2015). ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი (დისერტაცია). თბილისი.
2. ბენია, მ. (2015). ევროკავშირის საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში. დისერტაცია. თბილისი.
3. ბერუჩაშვილი, თ., ყარაულაშვილი, ა., მშვიდობაძე, ვ. (2006). საქართველო და ევროკავშირი. თბილისი.
4. გველესიანი, რ., ლეკაშვილი, ე., ყუფარაძე, გ., მაისურაძე, ნ., ვიშეგარდის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე. თბილისი
5. გაჩეჩილაძე, რ. (2013). ევროინტეგრაციის პროცესი სამხრეთ კავკასიაში. თბილისი.
6. გრიგოლია, თ. (2011) ევროკავშირის ისტორია, ევროპის პოლიტიკა და გეოგრაფიული კონტურები. თბილისი.
7. დათაშვილი, გ. (2019). ტრანსნაციონალური კორპორაციების მენეჯმენტი და მათი გამოცდილების ადაპტაცია ქართულ ბაზარზე. დისერტაცია. თბილისი.
8. დაღელიშვილი, ნ. (2013). ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA) - რეალობა თუ პარტნიორობა „ქაღალდზე?“. ჟ.“ეკონომიკა და ბიზნესი“№1. თბილისი.
9. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. (2014). ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო. თბილისი.
10. ევროკავშირი და საქართველო. (2009). მიმდინარე საკითხები და მომავლის პერსპექტივები. თბილისი.
11. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში (2012). „კონკურენციის პოლიტიკა, საბაჟო პროცედურები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები“. თბილისი.

12. კაპანაძე, ს. (2006). ევროკავშირის პოლიტიკა. თბილისი.
13. ლეკაშვილი, ე. (2012). საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაციები. თსუ. თბილისი.
14. ლუკაშვილი, ე. (2017). DCFTA-ს წარმატებით განხორციელებაზე მოქმედი ფაქტორები და ხარჯები. ყველაფერი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ. თბილისი.
15. საერთაშორისო გამჭვირვალობა. (2010). საქართველო, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა. თბილისი.
16. სილაგაძე, ა., ბახტაძე, ლ., ვეშაპიძე, შ., ზუბიაშვილი, თ., ფუტკარაძე, რ. (2018). საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია. თბილისი.
17. ფუტკარაძე, რ. (2009). საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების თანამედროვე მდგომარეობა. ჟურნალი „ახალი ეკონომისტი". თბილისი.
18. ფუტკარაძე, რ. (2010). საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები:პრობლემები და პერსპექტივები. თბილისი.
19. ყორღანაშვილი, ლ. (2007). საქართველოსა და ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობა: თანამედროვე მდგომარეობა და პესპექტივები. საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი. თბილისი.
20. ძოწენიძე, ც. (2013). საქართველოს ევროპასთან იტეგრაციის ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები. დისერტაცია. ქუთაისი.
21. ჭყოიძე, ვ. (2009). ევროკავშირი და საქართველო: მიმდინარე საკითხები და მომავ-ლის პერსპექტივები-აღმოსავლეთ პარტნიორობა-მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატი. თბილისი.
22. ჯოლია, გ. (2007). საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი". თბილისი.
23. Balassa, B., & Stoutjesdijk, A. (1975). Economic Integration Among Developing Countries. Journal of common market studies 14.
24. Balassa, B. (2012). The Theory of Economic Integration. Routledge; 1 edition.
25. Kubicek, P. (2009). The Commonwealth of Independent States: an example of failed regionalism? Review of international studies. Regionalizing the global. Vienna.

26. Marinov, E. (2014). Economic Integration Theories and the Developing Countries. Economic Research Institute at BAS, South-East Europe Research Centre.
27. Volz, U. (2011). Regional Integration , Economic Development and Global Governance.USA.
28. Yeldos. N. (2009). Economic Integration in the Commonwealth of Independent States. Perspectives, Problems, Solutions. Massey university. Albany, New Zeland.
29. ბიზნესის კეთება - საერთაშორისო რეიტინგები https://www.doingbusiness.org/en/about-us
30. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა. -http://infocenter.gov.ge/euinfo-the-eastern-partnership/
31. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) შეთანხმების არსი http://www.economy.ge/index.php?page=econo-my&s=7
32. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო http://www.economy.ge-/?page=ecopolitic&s=12
33. ევროპული სამეზობლო პოლიტიკა.https://euneighbours.eu/en/policy#the-european-neighbourhood-policy-enp
34. თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან.http://www.dcfta.gov.ge/ge/agreement
35. საქართველოს პარლამენტი DCFTA-ს შესახებ; ვებ-გვერდი- http://parliament.ge/ge/
36. საკომუნიკაციო სახელმძღვანელო საქართველოსთვის (DCFTA)- http://www.eesc.lt/-uploads/DCFTA%20Toolkit%20GEO%20version%20FINAL.pdf
37. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka
38. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2014). ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. https://matsne.gov.ge/ka/-document/view/2496959?publication=0
39. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. (2017). “Together for Stronger GUAM” https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/GUAM/GUAM-Docs/Charter-Of-Organization-GUAM.aspx
40. EU- Georgia Relations. https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/countries/-georgia_en

## *დანართი*

დანართი №1

1. თქვენი განათლების დონე (იმ შემთხვევაში თუ სწავლობთ, მაგრამ ჯერ არ დაგიმთავრებიათ უნივერსიტეტი მიუთითეთ-უმაღლესი)

ა) უმაღლესი

ბ) საშუალო

2. თქვენი აზრით, საქართველომ საგარეო ურთიერთობები უნდა გააღრმავოს

ა) დასავლეთის ქვეყნებთან

ბ) რუსეთთან

გ) აღმოსავლეთის ქვეყნებთან

3. როგორ ფიქრობთ, საქართველო ისტორიულად იყო

ა) დასავლური ორიენტაციის მქონე სახელმწიფო

ბ) რუსული ორიენტაციის მქონე სახელმწიფო

გ) აღმოსავლური ორიენტაციის მქონე სახელმწიფო

4. როგორ ფიქრობთ, საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ

ა) დაუახლოვდა დასავლეთს

ბ) დაუახლოვდა რუსეთს

გ) დაუახლოვდა აღმოსავლეთს

5. გსმენიათ თუ არა ევროკავშირის საქმიანობის შესახებ საქართველოში?

ა) დიახ

ბ) არა

გ) ნაწილობრივ

6. თქვენი აზრით, ვლინდება თუ არა ევროკავშირთან თანამშრომლობის დადებითი შედეგები შემდეგი სახით

ა) მკვიდრდება დემოკრატიული ღირებულებები

ბ) დაცულია ადამიანის უფლებები საბჭოთა პერიოდთან შედარებით

გ) გაუმჯობესდა მოსახლეობის ცხოვრების დონე

დ) გაიზარდა ქვეყნის ცნობადობა და ავტორიტეტი

ე) შემცირდა რისკი მოსალოდნელი საგარეო საფრთხეებისა

7. თქვენი აზრით, ვლინდება თუ არა ევროკავშირთან თანამშრომლობის დადებითი შედეგები შემდეგი სახით

ა) უმუშევრობის დონის ზრდა

ბ) მოსახლეობის მიგრაციის ზრდა

გ) მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესება

დ) ქართული ტრადიციების ნგრევის საფრთხე

ე) მოსალოდნელი საგარეო საფრთხეების რისკის ზრდა

8. სქესი

ა) მდედრობითი

ბ) მამრობითი

9. თქვენი ასაკი

ა) 18-30

ბ) 31-50

გ) 50-60

დ) 60 წელი და ზემოთ

10. თქვენი საშუალო თვიური შემოსავალი

ა) 500-800

ბ) 800-1500

გ) 1500-2000

დ) 2000 და ზევით